საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 205 (1007) პარასკევი, 2 დეკემბერი, 1994 წელი. ფასი 400.000 კუპონი

ჩვენს მკითხველებს!

უკვე მერამდენედ გვიხდება ბოდიშის მოხდა ჩვენს მომთმენ და კეთილშობილ მკითხველებთან — ხან უქაღალდობის, ხანაც უშუქობის გამო.

ამჯერადაც „საქართველოს რესპუბლიკის" გამოუსვლელობის მიზეზი ისევ ენერგეტიკული კრიზისი იყო.

და აი, ზუსტად ორი კვირის თავზე (16 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე), ჩვენი გაზეთი კვლავ იხილავს სინათლეს! იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალში აღარ მოგვიხდება ჩვენი მკითხველების გაწბილება და „საქართველოს რესპუბლიკა", ერთადერთი ქართული ყოველდღიური გაზეთი — კვლავინდებურად შეასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციას — ოპერატიულად მიაწოდებს საზოგადოებას პირუთვნელ და ზუსტ ინფორმაციას.

ედუარდ შევარდნაძე აშხაბადს მიემგზავრება

2 დეკემბერს, სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე აშხაბადს მიემგზავრება, სადაც განიხილება ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები.

ედუარდ შევარდნაძე შეხვდა უცხოელ ბიზნესმენებს

28 ნოემბერს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო უცხოელ ბიზნესმენთა დელეგაცია ბერძენი ბიზნესმენის ბატონ ცაკოსის ხელმძღვანელობით. სახელმწიფოს მეთაურმა ვრცლად დაახასიათა რესპუბლიკის ეკონომიკის ცალკეულ დარგებში არსებული ვითარება და მათი განვითარების პერსპექტივები. უცხოელი ბიზნესმენები განსაკუთრებით დაინტერესდნენ ქართული საზღვაო ფლოტის მდგომარეობით, რაზედაც ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს. მათ გამოთქვეს სურვილი, ითანამშრომლონ ნავთობმომპოვებელ, თევზსაჭერ და გემთსაშენებელ დარგებში. შეხვედრისას ისაუბრეს აგრეთვე იმ ტრადიციულ მეგობრობაზე, რომელიც ყოველთვის აკავშირებდა ქართველ და ბერძენ ხალხებს.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური.

რუსეთის ფედერაციის მთავრობის განცხადება

აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომლის შესაბამისად, გამოცხადდა მმართველობის საპრეზიდენტო ფორმის მქონე სუვერენულ რესპუბლიკად.

ეს ცალმხრივი აქტი ეწინააღმდეგება აფხაზეთის მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოწესრიგების შესახებ და ძალისხმევას, რომელსაც ახორციელებდნენ და ახორციელებენ რუსეთი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი.

რუსეთის ფედერაციის მთავრობა ადასტურებს ერთგულებას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობისა და აფხაზეთის მრავალეროვანი ხალხის ინტერესების დაცვის, მისი სამართლებრივი და პოლიტიკური სტატუსის უზრუნველყოფისათვის ვითარების სრულმასშტაბიანი მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკების ფარგლებში.

1994 წლის 29 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტში

კუპონი — სავალდებულო საგადამხდელო საშუალება

საქართველოს პარლამენტმა 22 ნოემბრის სხდომაზე მიიღო კანონი, რომლის ძალითაც კუპონი გამოცხადდა სავალდებულო საგადამხდელო საშუალებად. ის პირი, ვინც უარს იტყვის კუპონის მიღებაზე, დაისჯება ჯარიმით შრომის ანაზღაურების ათასი მინიმალური ოდენობით, გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით. თუ იგივე ქმედება განმეორებით ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, კანონით განსაზღვრულია აგრეთვე, მოქალაქეთა დაჯარიმება ულიცენზიოდ სავალუტო ოპერაციების წარმოებისა და მომსახურებისათვის. ასევე დაჯარიმებას ან 30 დღემდე ვადით პატიმრობას ექვემდებარება ვალუტის გადამცვლელი დაწესებულების მუშაკის მიერ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ფულადი ერთეულის გაცვლაზე უარის თქმა.

კანონი ძალაში შევა 5 დეკემბრიდან და მისი ამოქმედებით გარკვეული ბიძგი გადაიდგმება ქვეყანაში კუპონის პრაქტიკულად ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად აღიარებისთვის.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებულმა ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტმა ამა წლის 24 ოქტომბერს, თავის სხდომაზე განიხილა საქართველოს მწერალთა კავშირისა და გამომცემლობა „მერანის" წინადადება და შოთა რუსთაველის სახელობის რიგგარეშე 1994 წლის სახელმწიფო პრემია მიანიჭა

გრიგოლ გრიგოლის ძე აბაშიძეს (სიკვდილის შემდეგ)

უკანასკნელ წლებში შექმნილი პოეტური კრებულისათვის — „არყოფნისაკენ!"

კომიტეტის თავმჯდომარე, **მურმან ლებანიძე.**

თავმჯდომარის მოადგილე. **ტარიელ ჭანტურია.**

„მთავარია ჩვენი ხალხის შეკავშირება, ფართო გაგებით სახელმწიფოებრივი მშენებლობის დასახული გეგმების განხორციელება"

ტრადიციულად, დღევანდელ ინტერვიუსაც, ალბათ, გასული კვირის ეკონომიკური მიმოხილვით დავიწყებთ. მით უმეტეს, რომ ქვეყანაში ენერგეტიკული კრიზისის ფონზე მეტად სასიამოვნო ინფორმაცია მივიღეთ საფრანგეთიდან ჩვენი მთავრობის დელეგაციის წარმატებული ვიზიტის, მსოფლიო ბანკისა და სხვა სტრუქტურების მიერ საქართველოში დაწყებული ეკონომიკური რეფორმების მაღალი შეფასების თაობაზე, (თუმცა, ზოგს ჩვენში ჰგონია, რომ ეკონომიკური რეფორმა საერთოდ ფიქციაა და იგი არც დაწყებულა) და იმ დიდ ფინანსურ დახმარებაზე, რასაც საქართველო მიიღებს. საუბარია 274 მილიონ დოლარზე, შემდეგ კი თუ შესაბამისი რეკომენდაციები შესრულდება, თანხა კიდევ უფრო გაიზრდება. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტია. რამდენად რეალურია ამ თანხის მიღება? — ჟურნალისტ ნატო ონიანის ამ კითხვაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა თავის ტრადიციულ რადიოინტერვიუში განაცხადა:

— საქართველოში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით განსაკუთრებით ეკონომიკური კრიზისის დაძლევის და ფინანსური სტაბილიზაციის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მთავრობის დელეგაციის 1994 წლის 21-22 ნოემბრის შეხვედრას პარიზში საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და დონორი ქვეყნების წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე, ბუნებრივია, ლაპარაკი იყო იმ ენერგეტიკული და სასურსათო კრიზისის შესახებ, რომელიც დღეს დამახასიათებელია საქართველოსათვის. ამავე დროს, დადებითი შეფასება მიეცა იმ ძვრებს, რომლებიც რეალურად გამოიკვეთა ამ ბოლო თვეების განმავლობაში. აღინიშნა, რომ საქართველოს ხელმძღვანელობამ საკმაოდ გაბედული ნაბიჯები გადადგა რეფორმების განხორციელებისად. ერთმნიშვნელოვნად გამოიკვეთა აგრეთვე ისიც, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები და დონორი ქვეყნები მთლიანად უჭერენ მხარს ამ რეფორმებს.

ასეთი გამოთქმაც კი იყო ნათქვამი — ქართული ამბიციურობით შემუშავებული პროგრამა. ალბათ, მხედველობაში ჰქონდათ მასშტაბურობა და ჩვენი სურვილი, რაც შეიძლება სწრაფად გავიაროთ რეფორმების ყველაზე რთული ეტაპი.

პარიზის შეხვედრის წინ ვქონდა ჩემი პირადი მიმართვები დონორი ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურებისადმი, საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური ორგანიზაციების ხელმძღვანელობისადმი. ამჯერად ვთხოვდით არსებითად შეესწავლათ ჩვენი ქვეყნის არა მარტო დღევანდელი ვითარება, არამედ გაეზიარათ ჩვენი განვითარების პერსპექტივაც და ამასთან დაკავშირებით მიეღოთ ის გადაწყვეტილება, რომელიც აუცილებელია ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანისათვის.

ჩვენმა დელეგაციამ ბატონ ოთარ ფაცაციას ხელმძღვანელობით კარგად იმუშავა. საკმაოდ დასაბუთებული და არგუმენტირებული მასალები წარადგინა. ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო ამ ეტაპისათვის წარმატებულ მისიას (თუ ჯერ შეიძლება რაიმე წარმატებაზე ლაპარაკი).

რაც შეეხება ზოგიერთი ოპონენტის განცხადებას იმის თაობაზე, რომ მიმდინარე რეფორმები მოჩვენებითი, ზედაპირული და არაარსებითია — ვფიქრობ, ნაკლებად ყურადსაღებია. ეს ჩვეულებრივი დემაგოგიაა, რადგან უფრო დიდი სპეციალისტები — პარიზის, მანამდე მადრიდის შეხვედრის მონაწილეები, საერთოდ იმ ხალხის, ვინც თვალყურს ადევნებს საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობას, აზრი ანგარიშგასაწევი და დამაჯერებელია. რაც შეეხება თანხების მოცულობას (270 მილიონი, შემდეგ 400 მილიონი და ა. შ.) აქ მე უფრო ფრთხილი ვიქნები. ზუსტი თანხები ჯერ დადგენილი არ არის. ისიც საგულისხმოა, რომ გარკვეული ნაწილი შედის თანხაში, რასაც ჩვენ აქამდე ვიღებდით. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გამოყოფილი 84 მილიონი, რომელსაც ჩვენ უკვე 2-3 წელიწადია ვიღებთ — ახლა გადადის იმ ანგარიშში. ახლავ, ევროგაერთიანების დახმარება და სხვა მომავალში უფრო მეტად ინვესტიციებში იქნება ჩადებული და გადავა ისევ იმ ანგარიშებში, რომლებსაც ჩვენ წარმოგვიდგენენ სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი. ასე რომ, აქ ცოტა უფრო ფრთხილი დამოკიდებულებაა საჭირო, რათა ილუზიები არ შეიქმნას.

აუცილებელია, რომ ჩვენ ყველანი გავერკვეთ თუ რა არის ქვეყნის ფინანსური ცხოვრება, რა არის ბიუჯეტი, რა მნიშვნელობა აქვს მას და როგორ მოქმედებს რეალურად რეფორმა. რაში გამოიხატება იგი, უწინარესად, ფინანსურ და საბანკო სფეროში.

25 ნოემბრის მდგომარეობით რესპუბლიკის ბიუჯეტში შემოსულია საგადასახადო შემოსავლები 6.5 ტრილიონი კუპონის ოდენობით. რაც კვარტალური ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის ნახევარია. თუ გავითვალისწინებთ, რომ, ფაქტობრივად, ქვეყანა უბიუჯეტოდ ცხოვრობდა, ეს არ არის ცუდი მაჩვენებელი. უკეთესი ვითარებაა ბიუჯეტის შემოსავლებში დამატებითი ღირებულების გადასახადის სახით. მინდა ამაშიც გავერკვეთ — რა არის დამატებითი ღირებულება და რას ნიშნავს ბიუჯეტისათვის დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან შემოსული თანხის მოცულობა. ამ შემოსავლებმა 8 ტრილიონი კუპონი, ანუ კვარტალური გეგმის 68 პროცენტი შეადგინა. ახლა იტყვიან, რომ შევარდნაძემ ძველებური ლაპარაკი დაიწყო პროცენტებით, მაჩვენებლებით და სხვა. უამისოდ არ არსებობს არც კომუნისტური, არც სოციალისტური და არც კაპიტალისტური ეკონომიკა. ყველა აქცევს ყურადღებას ამ პროცენტებსა და ტენდენციებს.

შემოტანილი ნავთობპროდუქტების რეალიზაციის ნატურალური გადასახადის ხარჯზე ბიუჯეტში შემოსულია 500 მილიარდი კუპონი, რაც კვარტალური დავალების 166 პროცენტს შეადგენს. ამას ხაზგასმით აღვნიშნავ, რადგანაც მომავალში შეიძლება კიდევ უფრო გადიდდეს ნავთობპროდუქტების შემოტანა. ესე იგი, გადიდდება ბიუჯეტის შემოსავლები.

ცალკეულ სახეობებში შემოსავლების ზრდის მიუხედავად, ჯერ სრულდება შემოსავლების გეგმა აქციზის სახით. ამ პრობლემაზე განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს ყურადღება მინდა მივაპყრო, მათ საყურადღებოდ განვაცხადო, რომ უახლოეს დღეებში მოვისმენთ მინისტრის ანგარიშს, ძირითადად აქციზების შემოსავლების გეგმის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით. მოვითხოვ, რომ სამინისტრომ ანგარიში ჩააბაროს ამის თაობაზე.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ დიდი რაოდენობით დებიტორული დავალიანება არსებობს გაზის დეპარტამენტის ხაზით, სადაც კატასტროფული მონაცემებია. გათვალისწინებული შემოსავლების მხოლოდ 14 პროცენტი შესრულდა. ჩვენ, ალბათ, სპეციალურად ვიმსჯელებთ გაზის დეპარტამენტის საქმიანობაზე, მის ხელმძღვანელობაზე. მისი მუშაობის სტილზე, სტრუქტურებზე და, ვფიქრობ, ძალიან სერიოზული გადაწყვეტილებების მიღება დაგვჭირდება, რომელიც ამ ვითარებას გამოასწორებს.

მინისტრთა კაბინეტის მონაცემებით, 1 ნოემბრის მდგომარეობით რეალიზებული ელექტროენერგიის გადაუხდელმა ღირებულებამ 40 ტრილიონი კუპონი შეადგინა. ეს იგი ენერგია დაიხარჯა. მაგრამ არაფერი შემოვიდა. სახელმწიფომ მასზე ფული გადაიხადა ან ვალად დაგვერიცხა და არავითარი შემოსავალი არ არის. საკმაოდ დიდი დავალიანება აქვს თბილისს (მართალია, ეს ძველი დავალიანებაა, მაგრამ ყველამ ერთად უნდა ვიმუშაოთ მის გამოსასწორებლად), აჭარას — ერთნახევარი ტრილიონი კუპონი, რუსთავს და ზოგიერთ სხვა ქალაქს, რაიონებს, საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება.

ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდის განსაკუთრებით დიდი რეზერვია საბაჟო დეპარტამენტი. ამ ათიოდე დღის წინათ სპეციალურად შევიკრიბეთ, მივიღეთ ორგანიზაციული ზომები. ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს, თუ რას ნიშნავს ამ დეპარტამენტის მუშაობის გამოცოცხლების პირველი ტენდენცია. წინასწარი მონაცემები ასეთია: აშკარად შეიმჩნევა ბიუჯეტში გადასახადების ზრდა — ბოლო ორი თვის წინძღვზე ბიუჯეტში გადაირიცხა მთლიანად ათ თვეში ამოღებული კუპონების 62 პროცენტი, რუსული რუბლების 41 პროცენტი, ამერიკული დოლარების — 27 პროცენტი და ასე შემდეგ. საბიუჯეტო შემოსავლების დიდი წყაროა საბაჟო შემოსავლები, რომლებზეც საერთო შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის — შემოსული კუპონების 65 პროცენტი. რუსული რუბ[illegible] შემდეგ ვამეღოვნებით, რომ ეს შეხვედრა საბაჟო სამსახურთან და ჩვენ მიერ განხორციელებული ღონისძიებები მოგვცემენ საშუალებას, რომ ეს სისტემა იქცეს საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროდ. მჯერა, რომ ის ახალგაზრდა ხალხი, ვინც ამ სამსახურს ჩაუდგა სათავეში, ამ ამოცანას შეასრულებს.

ედუარდ შევარდნაძის 28 ნოემბრის რადიოინტერვიუ

ერთი ნეგატიური ტენდენციის შესახებ: ბანკებში შემოსული თანხების გადარიცხვას ბანკები არ აჩქარებენ. მაგალითად, ქალაქ ფოთის აგრობანკი ორ-სამ თვეს ანდომებს შესული თანხების ცენტრალურ უწყებებში გადმორიცხვის ოპერაციას. ძნელი გასაგები არ არის, თუ რატომ იქცევიან ასე ბანკები — ალბათ, ადგილზე ხდება ამ თანხის ბრუნვა, თვითონ სარგებლობენ, რაღაც პროცენტებს ხსნიან. მინისტრთა კაბინეტის უახლოეს სხდომაზე უნდა ვიმსჯელოთ ამ მეტად სერიოზული საკითხის შესახებ. მოვუწოდებ ეროვნულ ბანკს, მის პრეზიდენტს, მეტი ყურადღება მიაქციოს ამ პრობლემას. და კიდევ ერთი ტენდენციის შესახებ, რომელმაც მართლაც მყარი ხასიათი მიიღო — ეს არის კუპონის კურსი. 1994 წლის 25 ნოემბერს თბილისის საბანკთაშორისო სავალუტო ბირჟის მორიგ ვაჭრობაზე მოთხოვნამ ამერიკულ დოლარზე შეადგინა 260 ათასი ამერიკული დოლარი. ეროვნულმა ბანკმა მთლიანად დააბალანსა იგი კურსით: ერთი ამერიკული დოლარი — 1625 ათასი კუპონი. 18 ნოემბრის ვაჭრობაზე 1709 ათასი კუპონი იყო. რაც შეეხება რუსულ რუბლს, კომერციული ბანკები კვლავ გამყიდველის როლში გამოვიდნენ — გასაყიდად გამოტანილი იქნა 173 მილიონი რუსული რუბლი. მაშინ, როცა მასზე მოთხოვნა, პრაქტიკულად, არ იყო. ეროვნულმა ბანკმა თავად შეისყიდა აღნიშნული თანხა კურსით ერთი რუბლი — 496 კუპონი (18 ნოემბრის ვაჭრობის კურსის — 540 კუპონის ნაცვლად). მგონია, აქ ხედავთ არაფერი არ არის, რომ გამოიკვეთა კუპონის გამაგრების მყარი ტენდენცია. პატარა განსხვავებაა არის ნაღდი ვალუტის შესყიდვისა და გაყიდვის კურსებს შორის სახელმწიფო ვაჭრობასა და ბაზრობაზე. იგი სულ რაღაც 6-7 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. ჯანსაღი ტენდენცია, რომ განმტკიცდეს და აღნიშნული უარყოფითი ტენდენცია გამოსწორდეს დაგვჭირდება ყოველკვირეული მსჯელობა სერიოზული ანალიზის საფუძველზე და შესაბამისი ზომების მიღება მინისტრთა კაბინეტის სხდომებზე.

— გასული კვირა საკმაოდ მძიმე ენერგეტიკული კრიზისით აღინიშნა. თითქმის ყველა შესაბამისი სამსახური ხშირად საპირისპირო ინფორმაციას იძლეოდა, მაგალითად, გაზთან დაკავშირებით. იყო უზბეკეთის ვიცე-პრემიერის დეპეშაც თქვენს სახელზე, რომელშიც გაზის მოუწოდებლობა ახსნილია იმით, რომ ჯერ კიდევ შესაკეთებელია ავარიის კერები. დილით გადაიცა საქგაზის ცნობა, რომ დღეს უნდა დასრულდეს შეკეთება. არის თუ არა რაიმე დამატებითი ინფორმაცია?

— ამასთან დაკავშირებით მინდა რამდენიმე განმარტება მივცე ჩვენს რადიომსმენელებს.

ჩვენ ადრევე დავიწყეთ ზრუნვა ენერგომატარებლების მარაგის შესაქმნელად, რათა შედარებით ნორმალურად გამოგვეზამთრებინა. ყველაფერი, რაც დაგეგმილი იყო, სამწუხაროდ, ვერ განხორციელდა. ბევრი რამ ჩვენზე არ იყო დამოკიდებული. მაგალითად, ბატონმა ელცინმა საქართველოში ყოფნისას განაცხადა, რომ რუსეთი საქართველოს აძლევს 20 მილიარდი მანეთის კრედიტს, რაც ჩვენ უკვე რეზერვში ჩავდეთ. ეს პრაქტიკულად გვაძლევდა საშუალებას წლის ბოლომდე მთლიანად დაგვემთავრებინა თბილსრესის კაპიტალური რემონტი და ამავე დროს 10-12 მილიარდი დაგვეხარჯა 300-400 ათასი ტონა მაზუთის შემოსატანად. ეს რეზერვი ნორმალურად გამოზამთრებას ნიშნავდა. კრედიტი ვერ მივიღეთ არა იმიტომ, რომ რუსეთს საქართველოსთვის ცუდი უნდა, არამედ იმიტომ, რომ რუსეთსაც გაუჭირდა. თანხების რეალური შემოსავლები ბანკებში შეზღუდული იყო და ამის გამო ვერ მოახერხეს კრედიტის გამოყოფა. ესე იგი, ეს უზარმაზარი რეზერვი გამოირიცხა. ახლა ლაპარაკია, რომ წლის ბოლომდე რაღაც რაოდენობა გამოიყოფა...

დავდეთ ხელშეკრულება ირანთან, საკმაოდ მძიმე პირობებში, თითქმის ერთი მილიარდი კუბური მეტრი გაზის მიღებაზე. გახსოვთ, ლაპარაკობდნენ კიდეც კაბალურ პირობებზე.... დავდეთ ეს ხელშეკრულება იმიტომ, რომ ეს რეზერვი უნდა ყოფილიყო. თუ რომელიმე წყარო არ გამართლდებოდა, მაშინ მივიღებდით ირანიდან გარანტირებულ 800 მილიონ კუბურ მეტრ გაზს. სამწუხაროდ, ეს ხელშეკრულება ორ სახელმწიფოს შორის (და არა უბრალო დაპირება) თვით ირანში შექმნილი მძიმე კლიმატური პირობების გამო არ შესრულდა. რომ მიგვეღო 800 მილიონი კუბური მეტრი გაზი, მაშინ სულ სხვა სურათი იქნებოდა.

მესამე: ვის შეეძლო დაეგეგმა ავარია თურქმენეთის გაზსადენებზე, რის შედეგადაც სხვა ქვეყნებიც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. კერძოდ, უკრაინა, ზოგიერთი სხვა ქვეყანა, ვინც ამ გაზით სარგებლობს. მათ საყურადღებოდ, ვინც ეჭვის ქვეშ აყენებს ამ ავარიას: ათასჯერ მითქვამს, რომ თურქმენეთს აქვს მორალური უფლება გადაკეტოს გაზი, მაგრამ მათ ეს ამჯერად არ გაუკეთებიათ, ჩვენ ვცდილობთ მაგალითად, ნოემბრის ანგარიშები გავასწოროთ, მიმდინარეობს არსებული პროდუქციის სისტემატური გადატვირთვა და თურქმენი მეგობრები ჩვენს მცდელობას ხედავენ. ავარიის გამო, ეს ენერგიის მუდმივი წყარო პრაქტიკულად დაიკეტა. მივმართე პირადად უზბეკეთის პრეზიდენტს, რათა გავრკვეულიყავით, რამდენად რეალურია ავარიის აღდგენის პერსპექტივა უახლოეს დღეებში. პრემიერ-მინისტრის მოადგილემ მომწერა, რომ საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა, მაგრამ შეეცდებიან უახლოეს დღეებში აღადგინონ და რაც შეიძლება სწრაფად დაეხმარონ საქართველოს. გაუთვალისწინებელი დაბრკოლება გზაზე გადაგვეღობა.

ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება რუსეთის ხელმძღვანელობასთან. იმ შემთხვევაში, თუ თურქმენეთის გაზსადენი არ აღდგება, ან გაჭიანურდება აღდგენა, იქნებ დროებით, რუსეთის გაზი მივიღოთ. ასეთი წერილები შედგენილია, ბატონ ელცინს დღეს გავუგზავნეთ იგი და შესაძლებელია ეს რეზერვი ავამუშაოთ. ამასთან დაკავშირებით მოსკოვში იყვნენ ბატონები კურვალიშვილი, ბაჩიაშვილი, ქაშაკაშვილი და სხვები, საკმაოდ სერიოზული მოლაპარაკება გაიმართა.

ამ გაჭირვების ფონზე ძალიან სერიოზულად გვეხმარება თურქეთის მთავრობა. პრეზიდენტ დემირელის დაპირება სრულდება. გვეხმარება აზერბაიჯანი და მინდა ეს განსაკუთრებით გამოვყო. მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის. ეს ძალიან მცირე მოცულობაა ჩვენს წინაშე მდგარ პრობლემებთან შედარებით.

ყველა ამ საკითხის გარკვევას, ალბათ, ერთი კვირა მაინც დასჭირდება. მანამდე კი საკუთარი რესურსებით უნდა ვიცხოვროთ, სამართლიანად გავანაწილოთ ის რაც გვაქვს, ისე, რომ ცოტა მრეწველობამაც ისუნთქოს, იმუშაოს, მოსახლეობასაც მივცეთ, უწინარესად კი პურის ქარხნებს.

ეს პრობლემა მართლაც ყველა ოჯახს აწუხებს. ამ დილით კიდევ შემატყობინეს, რომ თურქმენეთიდან მივიდა ცნობა: ბოლო მონაცემებით, აღდგენითი სამუშაოები მთავრდება და შეიძლება დღეს ან ხვალ დასრულდეს. ზუსტად თქმა ძნელია. ხვალ ან ზეგ ზურაბ კერვალიშვილი, რომელსაც მუდმივი კონტაქტები აქვს ენერგომატარებლების მომწოდებელ ქვეყნებთან, ჩემი პირადი წერილით ბატონ ნიაზოვის სახელზე, გაემგზავრება აშხაბადში და განიხილავს მიმდინარე და მომავალი წლის თანამშრომლობის პრობლემებს. გაიმართება მოლაპარაკება. არ გამოვრიცხავ ჩემს სამუშაო ვიზიტსაც აშხაბადში, თუ ეს აუცილებელი იქნება.

მინდა განვმარტო, რომ შექმნილი სიძნელეები, ის უკიდურესი გაჭირვება, რომელსაც მოსახლეობა იტანს, არ არის ერთი ან ორი პიროვნების უპასუხისმგებლობის შედეგი. ყოველთვის უნდა ვიცოდეთ, რომ როცა თითქმის მთლიანად სხვაზე ხარ დამოკიდებული, ლაპარაკია ენერგომატარებლებზე, არ არის გამორიცხული, უფრო ხშირად მოსალოდნელი უსიამოვნებანი. არც საქართველოა გამონაკლისი, ძალიან ბევრ ქვეყანას განუცდია და ბევრი ახლაც განიცდის ასეთ კრიზისს.

ზამთრის რეზერვების ფორმირების ჩვენს ანგარიშებში ბევრი რამ იყო ჩადებული, სამწუხაროდ, იგი ისე ვერ შესრულდა, როგორც უნდა შესრულებულიყო.

— საქართველოს პარლამენტი ხვალ ენერგოკრიზისთან დაკავშირებით აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა პასუხისმგებლობაზე იმსჯელებს. საინტერესოა, რომ ამჯერად ინიციატორები უმრავლესობის წარმომადგენლები არიან. როგორ შეაფასებდით ამ მომენტს. თუნდაც იმიტომ, რომ უმრავლესობა მხოლოდ მოპასუხის როლში აღარ მოგვევლინება...

((დასასრული მე-2 გვ.)

მერვე სვეტი

დატაცებულია სახელმწიფო ქონება

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, რუსთავის „აზოტის" გასამხედროებულ დაცვას თავს დაესხა რამდენიმე შეიარაღებული პირი და ორი სატვირთო ავტომანქანით გაიტაცეს დაუდგენელი რაოდენობის უჟანგავი ლითონის ჯართი.

ხორციელდება ღონისძიებები დამნაშავეთა დასაკავებლად.

ნავთობსახდელების განადგურება გრძელდება

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 29 ნოემბერს, საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში შეამოწმეს 98 მოქალაქის კარმიდამო, რომლის დროსაც აღმოაჩინეს 8 კუსტარული ნავთობსახდელი.

უკანონო ნავთობსახდელები განადგურებულია.

ავარია თბილისის მეტროში

28 ნოემბერს, საღამოს, თბილისის მეტროში „მარჯანიშვილის მოედანსა" და „ვაგზლის მოედანს" სადგურებს შორის მატარებლები შეეჯახნენ ურთმანეთს, რომლის შედეგად ერთ-ერთი ლოკომოტივის მემანქანე დაშავდა. როგორც აცნობეს საქინფორმის კორესპონდენტს, მეტროპოლიტენის სამმართველოში, ამ ხაზზე მატარებლების მოძრაობა აღდგენილია.

მეწყერი საზღვართან

29 ნოემბერს, ღამით, სასაზღვრო პუნქტიდან რამდენიმე ასეულ მეტრზე, ქვარიათი-სარფის გზის მონაკვეთზე, ჩამოწვა მეწყერი. სავალ ნაწილზე ჩამოწვა ქვების მთა.

საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის. მიმოსვლა დროებით შეჩერებულია, მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები.

ლოთი ქობალიამ მშრალი შიმშილობა გამოაცხადა

როგორც სააგენტო „პოსტფაქტუმის" კორესპონდენტისათვის გახდა ცნობილი, ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეთა შეიარაღებული ფორმირებების ყოფილმა მეთაურმა, ამჟამად გამოძიებაში მყოფმა ლოთი ქობალიამ მშრალი შიმშილობა გამოაცხადა. იგი მოითხოვს შეხვედრას სახელმწიფოს მეთაურთან ედუარდ შევარდნაძესთან, რომელთანაც სურს საუბარი არა პირად საკითხებზე, არამედ, მისი აზრით, სახელმწიფო მნიშვნელობის პრობლემებზე.

ერთობლივი კომუნიკე

თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, მისი აღმატებულების ბატონ სულეიმან დემირელის თბილისში ვიზიტთან დაკავშირებით

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის, მისი აღმატებულების, ედუარდ შევარდნაძის მიწვევით 1994 წლის 15 ნოემბერს თბილისს ეწვია თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, მისი აღმატებულება სულეიმან დემირელი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურმა და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა განიხილეს გლობალური და რეგიონული მნიშვნელობის საკითხები, მოხდა აზრთა გაზიარება ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაური და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი მიესალმნენ იმას, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ ცნო დამოუკიდებელი სახელმწიფოების დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი მათ საერთაშორისო აღიარებულ საზღვრებში. ამავე დროს, მათ გამოთქვეს შეშფოთება ისეთი ნეგატიური მოვლენების გამო, როგორიცაა რეგიონული, ეთნიკური და სამხედრო კონფლიქტები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან არა მარტო რეგიონულ, არამედ საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას.

მათ დაადასტურეს თავიანთი პოზიცია იმის თაობაზე, რომ ასეთი პრობლემები მოითხოვს სამართლიან და სწრაფ გადაჭრას და ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღნიშნეს საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების როლი.

ისინი შეთანხმდნენ გააძლიერონ თავიანთი ძალისხმევა საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებთან ერთად ამ კონფლიქტების მოსაგვარებლად და რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობისა და წესრიგის დასამყარებლად.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაური და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი მიესალმნენ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ფარგლებში მიღწეულ პროგრესს და იმედი გამოთქვეს, რომ ეს ხელს შეუწყობს პარტნიორობას, ურთიერთსარგებლიანობას და დაამკვიდრებს მშვიდობასა და სტაბილურობას რეგიონში.

მათ აღნიშნეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ორივე მხარისათვის სასარგებლო ეკონომიკური პროექტების განხორციელებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა პირდაპირი ტელეკომუნიკაციები, ენერგეტიკა, ტრანსპორტი და თავისუფალი ზონები.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ევროპა-აზიის საკომუნიკაციო დერეფნის აშენების, და, კერძოდ, ენერგომატარებლების ტრანზიტის პროექტების განხორციელების დაჩქარების აუცილებლობას და განაცხადეს, რომ მზად არიან ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მას.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურმა და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა განიხილეს ორ ქვეყანას შორის ახალი სასაზღვრო გადასასვლელების გახსნის საკითხი და აღნიშნეს, რომ ყველაფერს იღონებენ მათ ასამოქმედებლად ახლო მომავალში.

მათ კმაყოფილება გამოთქვეს, რომ დინამიკურად ვითარდება ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურმა და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დაადასტურეს, რომ სურვილი აქვთ მომავალშიც გააგრძელონ უმაღლესი დონის ორმხრივი კონსულტაციები.

ამ დღეებში

[illegible]
„საქართველოს
რესპუბლიკის"
და საქინფორმის
[illegible]

„მთავარია ჩვენი ხალხის შეკავშირება, ფართო გაგებით სახელმწიფოებრივი მშენებლობის დასახული გეგმების განხორციელება“

(დასასრული)

— პარლამენტის საგანგებო სხდომის მოწვევის თარიღი ჯერ დადგენილი არ არის. დღეს გაიმართება ჩემი კონსულტაციები სპიკერთან, ზოგიერთი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებთან და სხდომის თარიღს დღეს ან ხვალ გამოვაცხადებ. რაც შეეხება პარლამენტართა მძაფრ რეაქციებს ცალკეულ პირთა პასუხისმგებლობაზე, ამას სრული გაგებით უნდა შევხედოთ, ვისაც უნდა ეხებოდეს ეს, ამასთან, ყველანი ერთად უნდა შევეცადოთ გავერკვეთ, სად არის ობიექტური მიზეზები და სად — ჩვენი პასუხისმგებლობა. სწორედ ასე განმარტა წუხელ სატელევიზიო გადაცემაში თავისი პოზიცია ქალბატონმა ნესტან კირთაძემ. კერძოდ, უნდა გავერკვეთ და არ შევცდეთ მიზეზებსა და უპასუხისმგებლობაში.

— ქალაქის მერმა ნიკო ლეკიშვილმა გუშინწინ მოქალაქეთა კავშირის თბილისის ორგანიზაციის ფორუმთან შეხვედრისას განაცხადა, რომ ქალაქის თელასის ხელმძღვანელი, რომელიც ვერ ასრულებდა თავის მოვალეობას, განთავისუფლებულია, ითქვა რომ ზემდგომი პირების განთავისუფლების საკითხიც უნდა დადგეს, მაგრამ ეს ქალაქის მერის კომპეტენციაში არ შედის.... მძიმე ფაქტები მოიყვანა თავისი გამოსვლის დროს პარლამენტის სხდომაზე კონტროლის პალატის ხელმძღვანელმაც. ვიქვათ, ეს ყველაფერი არ არის მართალი, მაგრამ შედეგებისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ადამიანი ვერ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, თუ სპეციალურად არ აკეთებს საქმეს. ამასთან დაკავშირებით მიიღებთ რაიმე კონკრეტულ გადაწყვეტილებებს, თუ მაინც საგანგებო სხდომის განხილვას დაელოდებით?

— უნდა გამოვყო კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბატონ რევაზ შავიშვილის განცხადება და ამ განცხადების საფუძვლიანობის საკითხი იმის თაობაზე, რომ სადღაც 100 მეგავატი ელექტროენერგია იკარგება, რომ ჩვენ ერთი ქვეყნიდან ვღებულობთ ელექტროენერგიას და ნერგს ვაძლევთ... და რომ ამას აკეთებს „საქენერგო“, რომ აქ ანგარიშება და ასე შემდეგ. ზოგიერთი რამ მინიშნებით ითქვა, ზოგიერთი კი დაბეჯითებით. როცა ისეთ ფაქიზ საკითხებზეა ლაპარაკი, როგორიცაა ჩვენი დამოკიდებულება ორ მეზობელსა და უახლოეს მეგობარ ქვეყანაზე, დაუზუსტებელი და შეუმოწმებელი ფაქტების საჯაროდ გამოტანა დაუშვებელია. ახლა არაფერს არ ვამტკიცებ, მაგრამ, მგონია, ბევრი რამ დაუზუსტებელია და ბევრი რამ სინამდვილეს არ შეეფერება. ყოველ შემთხვევაში, ჩემი მოსაზრება ასეთია, მით უმეტეს, საწყენია, რომ ბატონი შავიშვილი დილით იყო ჩემთან, ვილაპარაკეთ ამ საკითხებზე, შევთანხმდით იმაზეც, რომ კონტროლის პალატის მოხსენებითი ბარათი ჩემთან განიხილებოდა და მივიღებდი სათანადო გადაწყვეტილებებს. სხვა საკითხთა შორის ამ 100 მეგავატზეც იყო საუბარი. მე უკვე დავიწყე ამ საკითხებში გარკვევა. დღეს ან ხვალ ჩემი დავალებით მინისტრთა კაბინეტი გააკეთებს სპეციალურ განცხადებას.

მთავარია, დარწმუნებული ვიყოთ, რომ ჩვენი გადაწყვეტილება სამართლიანია. არ გამოვრიცხავ, რომ ზოგიერთი სტრუქტურული და საკადრო ცვლილება მოხდეს უახლოეს ხანებში.

— გუშინ გადაიცა თქვენი განცხადება აფხაზეთის პარლამენტის მიერ ახალი კონსტიტუციის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. კერძოდ, აფხაზეთი გამოცხადდა დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ, საერთაშორისო სამართალსუბიექტად და ა. შ. ჟენევიდან დაბრუნებულმა ჯაბა იოსელიანმა ერთი ძალიან საინტერესო ფრაზა თქვა: მთელი საერთაშორისო საზოგადოებრიობა და სტრუქტურები დღეს უპირობოდ აღიარებენ, საქართველო ამ კონფლიქტში მართალი იყო და ისინი საქართველოს ერთიანობას უჭერენ მხარს. წინათ ასე არ იყო. აფხაზეთი სამართალსუბიექტად არავის არ უცვნია, საკუთარი თავის გარდა. რას ემყარება მათი ამგვარი გადაწყვეტილება ანუ ვისი მხარდაჭერის იმედი აქვთ აფხაზ სეპარატისტებს?

— აფხაზეთში მიღებული გადაწყვეტილების მოსარგები სიტყვაა აბსურდულობა. ამის თაობაზე მე უკვე ვილაპარაკე ჩემს განცხადებაში, რომელიც ტელევიზიით, რადიოთი გადაიცა და, რომელსაც კომენტარს უკეთებდნენ წუხელ მოსკოვის და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების საინფორმაციო საშუალებები.

მიმაჩნია, რომ ესაა გაანგარიშებული ნაბიჯი სამშვიდობო პროცესის ჩასაშლელად, რადგანაც სეპარატისტებმა ძალიან კარგად იციან, რომ თუ სამშვიდობო პროცესი ნორმალურად წარიმართება იგი აგრესიული სეპარატიზმის სასარგებლოდ არ დამთავრდება. დამთავრდება იგი ქართველი და აფხაზი ხალხების სასარგებლოდ, მათი ინტერესების შესაბამისად.

ბუნებრივია გარკვეული ძალები სტიმულს აძლევენ ასეთ ავანტიურისტულ, თვით აფხაზი ხალხისათვის საბედისწერო გადაწყვეტილებებს, რომელთაც მართლაც შეიძლება მოჰყვეს უმძიმესი და საბედისწერო შედეგები.

ახლა ძალიან მნიშვნელოვანია თუ როგორი იქნება საერთაშორისო ორგანიზაციების რეაგირება. რა თქმა უნდა, არსებითი მნიშვნელობა აქვს რუსეთის პოზიციას, ყველაზე მთავარია ჩვენი ხალხის შეკავშირება, ფართო გაგებით სახელმწიფოებრივი მშენებლობის დასახული გეგმების, ისე როგორც ჩაფიქრებული გვაქვს განხორციელება, რაც უფრო ძლიერია ჩვენი სახელმწიფო და მისი სტრუქტურები, მით უფრო ადრე მოგვარდება კონფლიქტები..

მომავალი თვის პირველ რიცხვებში დანიშნულია შეხვედრა ევროთათბირის ფარგლებში უმაღლეს დონეზე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს საქართველოს დელეგაციაც. რა თქმა უნდა, ეს უდიდესი რანგისა და თათბირის მასშტაბი გამოყენებული იქნება იმისათვის, რომ მსოფლიომ იცოდეს სიმართლე, მათ შორის ამ გადაწყვეტილებათა შესახებაც.

— როგორ შეაფასებდით ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენებს? სამწუხაროდ, არ მოხერხდა სისხლისღვრის თავიდან აცილება, ორივე მხრიდან არიან დაღუპულები, თანაც საკმაოდ დიდი რაოდენობით...

— ამ საკითხისადმი ყოველთვის ვიჩენდი და ვიჩენ კიდეც ძალიან ფრთხილ დამოკიდებულებას. ლაპარაკია მეორე ქვეყანაზე. ჩვენს უახლოეს მეზობელ მოძმე ხალხზე. ყოველგვარი კონფლიქტური სიტუაცია ამ ქვეყნის ფარგლებში თვით ამ ხალხმა უნდა გადაწყვიტოს. ჩვენ უკვე დავინახეთ აფხაზეთის მაგალითზე, თუ რას ნიშნავს, როცა ერევიან სხვა ქვეყნის საქმეებში, რამდენად მძიმე და ტრაგიკული შედეგებით მთავრდება ყველაფერი. აქედან გამომდინარეობს ჩვენი სიფრთხილე, ფაქიზი დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი.

გამოვთქვამ ჩემს ღრმა გულისტკივილს იმასთან დაკავშირებით, რომ იღუპებიან ჩვენი ძმები, ჩვენი მოძმე ხალხის შვილები. ჩვენი უახლოესი მეზობლები.

მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ ეს ტრაგიკული მოვლენები რაც შეიძლება მალე დამთავრდება და ჩეჩენი ხალხი სხვა ხალხებთან ერთად იცხოვრებს თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის ვითარებაში.

სეპარატისტთა მოქმედება წარმოადგენს მთელ საერთაშორისო გაერთიანების გამოწვევას, სპობს კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების შესაძლებლობას, აბათილებს აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესის მონაწილეთა სამშვიდობო ძალისხმევას.

განცხადება

1994 წლის 26 ნოემბერს მიიღეს აფხაზეთის ახალი კონსტიტუცია, რომლითაც აფხაზეთი სუვერენულ რესპუბლიკად და საერთაშორისო სამართლის სუბიექტად გამოცხადდა. ოფიციალურად რესპუბლიკის პრეზიდენტად „არჩეული“ ვ. არძინბა. „გადაწყვეტილება“ აფხაზეთის სტატუსის, ახალი კონსტიტუციის მიღების, ხელისუფლების სტრუქტურების რეორგანიზაციის შესახებ, დამოუკიდებლობის გამოცხადება მიიღო „პარლამენტმა“, რომლიდანაც განდევნეს დეპუტატები ქართველი მოსახლეობისაგან და აფხაზეთში მცხოვრებ სხვა ხალხთა წარმომადგენლები. ესე იგი უგულებელყოფილია აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის მეტი ნაწილის დეპუტატთა აზრი.

როგორც აღინიშნა საქართველოს დელეგაციის მემორანდუმში, 1994 წლის 15-18 ნოემბერს ჟენევის მოლაპარაკებაზე, აფხაზთა მხარე კონფლიქტში და მისი მხარდამჭერი რეაქციული ძალები თანამიმდევრულად ფუჭავდნენ და ფუჭავენ აფხაზეთის კონფლიქტის კონსტრუქციული გადაწყვეტის შესაძლებლობას, განუწყვეტლად არღვევენ ნაკისრ ვალდებულებებს და ცდილობენ ლეგალური გახადონ რეაქციული პოლიტიკური რეჟიმი, რომელსაც ბრალი მიუძღვის აფხაზეთის ქართული მოსახლეობის გენოციდში, ეთნიკურ წმენდაში.

ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა — გენოციდის ფაქტი: 6 ათასზე მეტი დახოცილი, თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეების, მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლების, ჟურნალისტების დაჭერა, მხეცურად ნაწამები ექიმები და პედაგოგები, ათასობით ქალი, მოხუცი, ბავშვი დასახიჩრდა წამების, შეურაცხყოფის შედეგად, 20 ათასზე მეტი ქართველი გამოექცა საზარელ ტერორს, დატოვა მთის ბილიკებზე გაყინული და შიმშილით დაღუპული ბავშვები, მოხუცებულები.

ცდილობენ რა ძალისმიერი ხერხებით შეცვალონ აფხაზეთის დემოგრაფიული შემადგენლობა, მოსპონ ან განდევნონ მოსახლეობის თითქმის ნახევარი — ეროვნებით ქართველები და გამოაცხადონ დამოუკიდებლობა აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის აზრის გაუთვალისწინებლად, სეპარატისტებმა და მათმა მხარდამჭერმა ძალებმა გააჩაღეს ომი, რომელიც ტრაგედიის ფასად დაუჯდა არა მარტო ქართველებს, არამედ თვით აფხაზებსაც, რომელთაგან ბევრი გაიქცა აფხაზეთიდან, ისევე როგორც სხვა ხალხთა წარმომადგენლები, რადგანაც არ სურდათ ასოცირებული ყოფილიყვნენ დანაშაულებრივ რეჟიმთან. აფხაზეთის ფარგლებს გარეთ დღეს იმყოფება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის ოთხ მეხუთედზე მეტი.

უხეშად უგულებელყოფენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს, ოთხმხრივ შეთანხმებას, რომლებსაც ხელი მოაწერა აფხაზთა მხარემ, სეპარატისტებმა ყველაფერი იღონეს, რათა არ დაეშვათ განდევნილების დაბრუნება, რადგან მათი დაბრუნება ჩაშლიდა უკანონო რეჟიმის ლეგალიზაციის გეგმებს, ხელს შეუშლიდა ეგრეთ წოდებული რეფერენდუმის მოწყობას თვითმარქვია დამოუკიდებლობის მხარდასაჭერად.

უშიშროების საბჭოს რეზოლუციები, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებანი, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტისა და მთავრობის განცხადებანი კატეგორიულად უარყოფენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრების ძალადური გადაკეთების ნებისმიერ ცდას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის 1994 წლის 3 მარტის მოხსენებაში აღნიშნულია, „რომ აფხაზეთის მხარის მკაფიოდ განმარტა იარაღის ძალით მოპოვებული დამოუკიდებლობის მიუღებლობა საერთაშორისო გაერთიანებისათვის“.

თეორიულადაც კი არ შეიძლება გამართლდეს სეპარატისტთა ცდა გამოაცხადონ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა, რადგან ეს ნიშნავს ერთი მუჭა პოლიტიკურ ავანტიურისტთა საამებლად, შეიარაღებული კონფლიქტების ხელის შეწყობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ დემოკრატიულ სახელმწიფოთა ფარგლებში, რაც თანამედროვე საერთაშორისო გაერთიანებას თავს დაატეხს ქაოსს, მსოფლიოს გადააქცევს მრავალრიცხოვანი შეიარაღებული კონფლიქტების ასპარეზად.

აფხაზეთის უკანასკნელი მოვლენები თვალსაჩინოდ ცხადყოფენ, რომ იქ ადგილი აქვს არა ეთნიკურ კონფლიქტს, არამედ პოლიტიკურ ავანტიურისტების მისწრაფებას თავისი ხალხის ეროვნული გრძნობების მანიპულირებით დაიკმაყოფილონ თავიანთი ამბიციები.

მაგრამ ისტორია ყოფილა იმის მოწმე, როცა ასეთი პოლიტიკა მთავრდებოდა კრახით, უპასუხისმგებლო პოლიტიკოსები კი ჭეროვნად ისჯებოდნენ. ასე იქნება ამჯერადაც.

რაკი დარწმუნდნენ, რომ აფხაზეთის კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკების გზით სეპარატისტები და მათი მხარდამჭერი ძალები ლეგალურს ვერ გახდიდნენ თავიანთ რეაქციულ აგრესიულ რეჟიმს, მათ გადაწყვიტეს ჩაეშალათ მოლაპარაკება, რადგან წინასწარ იცოდნენ რომ საქართველოს რესპუბლიკა არ აწარმოებს მოლაპარაკებას აფხაზთა მხარესთან კონფლიქტში, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან და საერთაშორისო სამართლის სუბიექტთან. იგივე პოზიცია დაიკავეს მოლაპარაკების დანარჩენმა მონაწილეებმაც — გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირმა, რუსეთის ფედერაციამ.

სეპარატისტთა მოქმედება წარმოადგენს მთელ საერთაშორისო გაერთიანების გამოწვევას, სპობს კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების შესაძლებლობას, აბათილებს აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესის მონაწილეთა სამშვიდობო ძალისხმევას.

საქართველოს რესპუბლიკა მიმართავს გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირს, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურებსა და უწინარეს ყოვლისა რუსეთის ფედერაციის მთავრობას დაუყოვნებლივ მოახდინონ რეაგირება აგრესიული სეპარატიზმის ახალ უპასუხისმგებლო, პროვოკაციულ ნაბიჯზე და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფუძემდებელი დოკუმენტებით გათვალისწინებული სანქციების გამოყენებითაც კი.

ედუარდ შევარდნაძე.

მხარს უჭერენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობას

28 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ჩიქვაიძემ მოიწვია საქართველოში რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვ. ზემსკი და გადასცა მას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ე. შევარდნაძის განცხადება აფხაზეთის კონსტიტუციის მიღების შესახებ, რომელმაც აფხაზეთი სუვერენულ რესპუბლიკად და საერთაშორისო სამართლის სუბიექტად გამოაცხადა. მინისტრმა ელჩის ყურადღება მიაპყრო ამ აქტის უკანონობას და ხაზგასმით აღნიშნა, რომ რეაქციულ ძალთა მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელი გახდებოდა აფხაზეთის დანაშაულებრივი რეჟიმის ლეგალიზაციის ცდა. მან მოითხოვა, რომ რუსეთის მხარემ შესაბამისი რეაქცია მოახდინოს აფხაზეთის მიერ საერთაშორისო სამართლის ნორმების, გაეროს გადაწყვეტილებათა და ოთხმხრივი მოლაპარაკების პროცესის მორიგი უხეში დარღვევის თაობაზე.

ელჩმა აღუთქვა მინისტრს, რომ დაუყოვნებლივ გადასცემს თავის მთავრობას საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განცხადებას.

იმავე დღეს, ა. ჩიქვაიძემ სამინისტროში მოიწვია საქართველოში გაეროს მუდმივი წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელი ქალბატონი მარტა რუედასი და ევროთათბირის წარმომადგენელი, ელჩი ჰანს გიორგ ეიფი და მათ გადასცა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ე. შევარდნაძის განცხადება.

გამართულ საუბარში მინისტრმა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ აფხაზეთის სუვერენულ რესპუბლიკად და საერთაშორისო სამართლის სუბიექტად გამოცხადება გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების მორიგი უხეში დარღვევაა და რწმენა გამოთქვა, რომ გაერო და ევროთათბირი შესაბამისი რეაქციებით გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას საერთაშორისო სამართლისა და გაეროს გადაწყვეტილებათა იგნორირების თაობაზე. ქალბატონმა მარტა რუედასმა და ელჩმა ჰანს გიორგ ეიფმა განაცხადეს, რომ დაუყოვნებლივ გადასცემენ თავიანთ ორგანიზაციებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განცხადებას.

იმავე დღეს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ჩიქვაიძემ მოიწვია საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები კენტ ბრაუნი, გიუნტერ დილკოფი და ბერნარ ფასიე და მათ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ე. შევარდნაძის განცხადება გადასცა.

მინისტრმა რწმენა გამოთქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიისა და საფრანგეთის მთავრობები შესაბამისი რეაქციით გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას აფხაზეთის მხარის მიერ საერთაშორისო სამართლისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების უხეში დარღვევის თაობაზე.

ელჩებმა აღუთქვეს მინისტრს, რომ დაუყოვნებლივ გადასცემენ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განცხადებას თავიანთ მთავრობებს.

იმავე დღეს ა. ჩიქვაიძემ მოიწვია საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვან ფენ სიანი, გადასცა მას საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განცხადება და რწმენა გამოთქვა, რომ ჩინეთი, როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, სათანადო რეაგირებას მოახდენს.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში მოწვეულმა ყველა ელჩმა და საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადეს, რომ მათი მთავრობები და ორგანიზაციები, როგორც წარსულში, კვლავაც მტკიცედ უჭერენ მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და საზღვრების ხელშეუხებლობას და აფხაზეთს განიხილავენ მხოლოდ როგორც ერთიანი საქართველოს განუყოფელ ნაწილს.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

„საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებისა და დამატებების თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის გამო

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებისა და დამატებების თაობაზე“ ამოქმედდეს 1994 წლის 1 დეკემბრიდან.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე
რუსუდან ბერიძე.

თბილისი, 1994 წლის 11 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

„საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 21 დეკემბრის კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993 წ., № 13-15, მუხ. 281) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ნაწილი: „საქართველოს რესპუბლიკაში ყველა სახის გადასახადის, გადასახდელის, მოსაკრებლისა და ბაჟის გადახდა წარმოებს საქართველოს ეროვნული ფულის ერთეულით“.

2. მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის პირველი აბზაცის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი: „სამეწარმეო საქმიანობის [illegible] ნამდვილობაში ბიუჯეტის წინაშე საგადასახადო ვალდებულებებისათვის განზრახ თავის არიდების შემთხვევაში საგადასახადო ორგანოებს უფლება აქვთ შეაჩერონ მათ სამეურნეო საქმიანობა გადასახდელების გადახდამდე. საგადასახადო ორგანოების მიერ სამეურნეო საქმიანობის შეჩერების შემდეგ უნებართვოდ სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული მთელი შემოსავალი ბიუჯეტში გადაირიცხება ამ კანონით გათვალისწინებული წესის შესაბამისად“.

3. მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი [illegible] შემდეგი შინაარსის [illegible]: „[illegible] გარეშე საქმიანობის განხორციელებისა და საგადასახადო ორგანოებში აღურიცხაობის შემთხვევაში კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სანქციებთან ერთად [illegible] გადახდება ფინანსური სანქცია მინიმალური ხელფასის 250-მაგი ოდენობით“.

4. მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში ციფრი „0.3“ შეიცვალოს ციფრით „2“.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი,
1994 წლის 11 [illegible]

კოდორის ხეობის „მოუხელთებელი შურის-მაძიებლები“

[illegible], ვინც ამ სტატიისთვის [illegible] მოგვცა, გვთხოვეს მათი [illegible] გვარები არ დაგვესახელებინა. მათ ვუწოდებთ კრებით სახელს „სარწმუნო წყაროები“. ისინი ცნობილი, პატივცემული და კომპეტენტური ადამიანები არიან.

რას შეუძლია აიძულოს ადამიანი პარტიზანობა დაიწყოს? ყველაფერი მიატოვოს — სახლ-კარი, ოჯახი, სამუშაო — და თავი შეაფაროს უღრან ტყეს, თავს გადაევლოს კლდეებს, ბუჩქებში იმალოს და მტერს სასიკვდილო დარტყმები მიაყენოს?

გონიერი ადამიანი, ვისაც მტკიცე მეხსიერება აქვს, ძნელად გადაწყვეტს ასეთ მოქმედებას. სხვა საქმეა — თუ სახლი დაგიწვეს, ოჯახი დაგიხოცეს, შინაურები — ვინ დაიღუპა, ვინ უგზო-უკვლოდ დაიკარგა. სამუშაოზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. თანაც სული მოგკრობს — შური იძიო იმაზე, ვინც ასე დაუნდობლად მოგიშალა ცხოვრება. აი, ასეთ სიტუაციაში პარტიზანობა, ალბათ, ერთადერთი გამოსავალია, რასაც შეუძლია ამ მიწაზე ადამიანის არსებობა გაამართლოს.

„აქედან არსადაც არ წავალ“

ერთი წლის წინათ, სოხუმის დაკარგვის შემდეგ, ქართველ სამხედროთა ნარჩენები და რიგითი მოქალაქეები იძულებული იყვნენ სასწრაფოდ დაეტოვებინათ ქალაქი. თადარიგის დაჭერის დრო არ იყო, ხიზნები გაურბოდნენ დაბომბვას, ბოევიკებსა და მაროდიორებს. მათ ორი გზა ედოთ წინ: ერთი, გალის რაიონის გავლით — დასავლეთ საქართველოსაკენ, დაბლობი, მეორე, ზეკარის გადავლით — ზემო სვანეთისაკენ, ალპინისტური. პირველის გამოყენება შეუძლებელი გახდა — გზა მოლაშქრე ზვიადისტებმა გადაკეტეს. თითქმის ყველამ მიაშურეს. რა თქმა უნდა, დევნილებს არ ჰქონდათ თბილი ტანსაცმელი, არც საკვები, და ზეკარისაკენ სვლა ნამდვილ ტრაგედიად გადაიქცა. ჩვენმა ნაცნობმა საშუალო ასაკის ჯანსაღმა ჟურნალისტებმა ზეკარის გადალახვას მთელი კვირა მოანდომეს. დილით შვიდ ჟურნალისტი ფრანგი თანამოკალმის ჯიბეში შემთხვევით შემორჩენილ ერთ კანფეტს ძმურად იყოფდნენ, ეს იყო მათი კვების დღიური ულუფა. გზაში რჩებოდნენ ავადმყოფები და მოხუცები, მათი დამხმარე არავინ იყო — ძალღონე აღარავის ჰქონდა.

უკრაინული და რუსული შვეულმფრენებით დახმარების აღმოჩენის მცდელობას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. ამართი ისეთი ციცაბო იყო, რომ ხალხის გამოყვანა შეუძლებელი გახდა, ხოლო შვეულმფრენებიდან დევნილებისათვის ჩაყრილი სურსათი და თბილი საბნები ბილიკებს მიღმა უფსკრულებში ცვიოდა და იკარგებოდა.

ზემო სვანეთის რეგიონები ეროვნული უბედურების ზონად გამოცხადდა, მაგრამ დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. — დღემდე ცნობილი არ არის თუ რამდენი ადამიანი დაიკარგა და დაიღუპა.

მაგრამ მთებს ყველა როდი შეეწირა. რამდენიმე ასეულმა სოხუმელმა, რომლებიც ქალაქის დაცვას ცდილობდნენ, კოდორის ხეობაში შესვლის შემდეგ გადაწყვიტეს შეჩერებულიყვნენ და 180 გრადუსით შებრუნდნენ. მათ ზურგს უკან კიდევ რჩებოდა აფხაზებისაგან დაუკავებელი 64 კილომეტრი მიწა-წყალი, ხოლო თვალწინ სოხუმი იწვოდა. ეტყობა, დადგა სწორედ ის დრო, როცა ერთადერთი მისაღები გადაწყვეტილება პარტიზანობა იყო. ისინი ხეობაში დარჩნენ, საცხოვრებელი მოიწყვეს, სკოლის შენობაში შტაბი მოათავსეს, შეიმუშავეს მოქმედების სქემა და განსაზღვრეს ამოცანები: მინიმუმი — მომავალ ბრძოლებში დაეცვათ ხეობა, მაქსიმუმი — დაებრუნებინათ აფხაზეთი.

ადგილობრივმა მოსახლეობამ — სვანებმა, გასაგებია, მოსულები ხელგაშლით მიიღეს, რადგან მათი მიზნები ერთმანეთს ემთხვეოდა. მართალია, სვანები თავიანთ ინტერესებს კოდორის ხეობით საზღვრავენ, სხვა მიწა მათ არ აინტერესებთ, სამაგიეროდ, სვანს თავის სახლში თავისი ამოცანა ერთმნიშვნელოვნად ესმის: „აქედან არსადაც არ წავალ“. საკმარისია მათ თვალებში ჩახედო, რომ დარწმუნდე — არა, არ წავლენ.

იმათ დასაცავი კი ნამდვილად აქვთ — ზღაპრული ხეობა, მდინარე კოდორის უწმინდეს წყალში უამრავი კალმახი დგაფუნობს, მთებში დაფრინავს და დახტება მრავალნაირი პირუტყვ-ფრინველი. სვანებს კარგა დიდი სახლები უდგათ, მრავალი შინაური საქონელი ჰყავთ, თითოეული ოჯახი 30-40 ძროხას წველის, ზოგი კი ას სულზე მეტსაც. ძირითადად კარტოფილი, ბოსტნეული და ხილი მოჰყავთ. იმათ ნამდვილი ნატურალური მეურნეობა აქვთ, საკუთარ თავს ყველაფრით თვითონვე უზრუნველყოფენ, მარილის, წამლებისა და სიგარეტის გარდა. დანარჩენი ყველაფერი აქვთ. ასე რომ, მთელ სამყაროს მოწყვეტილი კოდორის ხეობელი სვანები არ გაწყდებიან.

მეზობლური გაწევ-გამოწევა

მაგრამ მოვლენები ისე ვითარდება, რომ [illegible] დანარჩენ მონაწილეებს [illegible] ცხოვრება არ შეუძლიათ.

სწორედ კოდორის ხეობის საკითხით დამუხრუჭდა დევნილთა დაბრუნების მოლაპარაკება — ის, რისთვისაც მაისში საქართველოში რუსეთის სამშვიდობო ჯარები შეიყვანეს.

დევნილთა დაბრუნება ვერ გვარდება — არაფერი გამოდის. ჯერ მხოლოდ სულ 6 ოჯახი, 19 ადამიანი დაბრუნდა, ნოემბრის [illegible] 600 კაცის [illegible] აფხაზეთის [illegible] 60 [illegible] 300 [illegible]

სხვა გაზეთებიდან

ჭიანურდება. რუსეთისათვის, რომელიც გაეროში ჯიუტად მოითხოვდა ამ ოპერაციის განხორციელების მანდატს, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მშვიდობის დამყარების ამ პირველმა ცდამ გაამართლოს [illegible] საფუძველზე რამდენიმე [illegible] ას გარდა, ჭიანურდება მოლაპარაკება საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების თაობაზე, რომელთა შექმნის თანხმობას უკავშირებენ აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტას. მაგრამ მთელი ძალისხმევა ჯერჯერობით ამაოა. აფხაზეთის მხარე მოლაპარაკებებზე იეზუიტური ეშმაკობით დევნილთა დაბრუნების გაჭიანურებისათვის სულ ახალ-ახალ პირობებს აყენებს, რომელთა უმეტესობა საქართველოს მხარის წრფელ გაოცებას იწვევს.

ინტელექტთა ამ ბრძოლაში კოდორის ხეობა ფსონის ქაღალდად გადაიქცა. 14 მაისის შეთანხმებით „კოდორის ხეობიდან განხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ძალების აფხაზეთის ფარგლებიდან გაყვანა მათი დისლოკაციების ადგილებში. ერთდროულად კოდორის ხეობაში მოეწყობა სამშვიდობო ძალებისა და საერთაშორისო მეთვალყურეთა რეგულარული პატრულირება“. დღეისათვის ყველა პირობა შესრულებულია. სამშვიდობო ძალების პირველი ასეული ხეობაში ჯერ კიდევ ივლისში შევიდა, ხოლო ოქტომბერში მოეწყო საქართველოს, აფხაზეთის, რუსეთისა და გაეროს მეთვალყურეთა „სამხედრო-განმარტებითი“ ინსპექტირება, რომელმაც იქ ვერ აღმოაჩინა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები. სამაგიეროდ იპოვეს „ომის პირობებში გამოსაყენებლად უვარგისი“ საბრძოლო ტექნიკის 7 ერთეული და 3 [illegible], რომლებიც დამტვრეულია და ინსპექტორებმა მშვიდობიანად აფეთქეს.

სახელმწიფო მასშტაბის ტერაქტი

თდა, დევნილთა დაბრუნებას ხელს თითქოს და ყველაფერი გაეჭთდა, დევნილთა დაბრუნებას ხელს აღარაფერი უშლის. მაგრამ აფხაზეთის მხარემ არც ახლა ჩათვალა თავი დაკმაყოფილებულად. ახალი მოთხოვნა — ადგილობრივი მოსახლეობა უნდა წავიდეს ხეობიდან, იქ შევა აფხაზეთის ადმინისტრაცია და აბორიგენთა ანკეტების შემოწმებას შეუდგება. უკან დაბრუნების უფლებას მხოლოდ იმას მისცემენ, ვინც კონფლიქტში არ მონაწილეობდა. როცა ასეთ მოთხოვნებს აყენებს, აფხაზეთს სუვერენული სახელმწიფოს სტატუსი მაინც უნდა ჰქონდეს. მაგრამ ეს ხომ სახელმწიფო არ არის, ის საქართველოს რესპუბლიკის ნაწილია, ანუ სიტუაცია დაახლოებით ასეთია — თქვენთან მეზობლები მოვიდნენ და გითხრეს: რამდენიმე წლით თქვენი ბინიდან აიბარგეთ, შევამოწმებთ რამე ბნელი საქმე ხომ არ ჩაგიდენიათ. თუ ვერაფერს ვიპოვით, დაბრუნების უფლებას მოგცემთ. მოთხოვნა იმდენად აბსურდულია, რომ, ეტყობა, მას იმ ანგარიშით აყენებენ, რომ შესრულება შეუძლებელი გახდება.

ეტყობა, აფხაზეთის მხარე სინამდვილეში არც აპირებს დევნილთა უკან შეშვებას — შეიძლება თითოოროლა კაცს მიიღებენ, როცა მოლაპარაკებაზე ისე დაიწვებიან, რომ გასაქცევი [illegible] ექნებათ. მაგრამ იმავე დროს, ეს მოლაპარაკება წარმატებით გამოიყენონ იმისათვის, რომ თავიანთთვის მოითხოვონ ახალი დათმობები, კოდორის ხეობის ახალი „ნაჭრები“, რომლებსაც მართლაც რეალური სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს აფხაზეთისთვისაც და საქართველოსთვისაც, და რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, თვით რუსეთისთვისაც.

და კონფედერატები ფირუზისფერ ზღვას მიაშურებენ

აფხაზეთის მხარე, რა თქმა უნდა, მშვიდად ვერ დაიძინებს, სანამ ზურგში გაუკონტროლებელი ტერიტორია აქვს. თანაც, ისეთი, როგორიც კოდორის ხეობაა, რომელიც თვით ბუნებამ შეუქმნია მოულოდნელი თავდასხმების, იერიშების, გამოხდომებისა და ელვისებური გაქრობისათვის, სადაც გზის ყოველ მოსახვევში რამდენიმე კაცს ძალუძს თავისით წარმატებით მოიგერიოს მტერი. ხოლო თუ იქ რამენაირად მოხვდება მძიმე ტექნიკა, (მაგალითად, იმ ზემოდან, საიდანაც დევნილებმა გამოაღწიეს), რაც ძნელია, მაგრამ პრინციპში, შესაძლებელია, სოხუმზე იერიში საქართველოს მხარის [illegible]

მაგრამ **სარწმუნო წყაროების** მონაცემებით, საქართველოს მხარეს ასეთი გეგმა არა აქვს — აფხაზებზე თავდასხმა რომ [illegible], დაესხმოდნენ მაისში, სამშვიდობო ძალების შეყვანამდე. ჩვენ მშვიდობიანი გზით გვინდა ყველაფრის გადაწყვეტა, ახალი ომი აღარ გვსურს“, — ამტკიცებენ სარწმუნო წყაროები. სინამდვილეში, ორი წლის ომის განმავლობაში საქართველოს ერთხელაც არ [illegible] აფხაზეთის მხარისგან განსხვავებით, რომელიც მშვიდად ელოდა, ვიდრე [illegible]

[illegible]

მათი გატაცება გზების აფეთქება

[illegible]

ილია კალინინა.

(დასასრული იქნება).

„მოსკოვსკი კომსომოლეც“

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის პრესცენტრის

განცხადება

საქართველოს პარლამენტის 25 ნოემბრის სხდომაზე კონტროლის პალატის თავმჯდომარის რევაზ შავიშვილის გამოსვლასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის პრესცენტრი უფლებამოსილია განაცხადოს შემდეგი:

მისასალმებელი და უპირობოდ მხარდასაჭერია რესპუბლიკის კონტროლის პალატისა და მისი ხელმძღვანელობის საქმიანობა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკასა თუ სოციალურ სფეროში არსებული დარღვევებისადმი შეურიგებელ, პრინციპულ დამოკიდებულებაში გამოიხატება.

მით უფრო გაუგებარია კონტროლის პალატის თავმჯდომარის პოზიცია, რომელიც გამჟღავნდა ქვეყანაში ენერგეტიკული კრიზისის გამომწვევი მიზეზების შესახებ აღნიშნულ სხდომაზე მის მიერ გაკეთებულ დასკვნებში. მან ბრალი დასდო „საქენერგოს" ხელმძღვანელობას, რომ იგი შეგნებულად, ანგარების მიზნით, კომერციული მაქინაციების მეშვეობით ხელოვნურად ქმნის კრიზისულ სიტუაციას და მოითხოვა რადიკალური ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება.

ასეთ საპასუხისმგებლო განცხადებას ბატონი რევაზ შავიშვილი აკეთებს ისე, რომ, მისივე თქმით, საბუთებში თვითონ არ ჩაუხედია, რომ ეს საკითხები კიდევაა შესამოწმებელი და კონტროლის პალატაში წარდგენილი მასალები ჯერ არ განუხილავთ პრეზიდიუმის სხდომაზე, მიუხედავად იმისა, რომ „საქენერგოს" შემოწმება ა. წ. აგვისტოში დაამთავრეს. გაუგებარია, რატომ იჩქარა მან საჯაროდ გამოეტანა საკითხები, რომლებიც მისთვის წარდგენილ მოხსენებით ბარათში ფიგურირებს როგორც წინასწარ მოკვლეული მასალები და მხოლოდ განხილვის შემდეგ შეიძლება ჩამოყალიბდეს ობიექტური დასკვნის სახით. სამწუხაროა, რომ ტენდენციურობა, რომელიც ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, თავს იჩენს ხოლმე, კიდევ უფრო დაამძიმა არაკომპეტენტურობამ და ფაქტების, რბილად რომ ვთქვათ, თავისუფალმა ინტერპრეტაციამ.

რესპუბლიკის მოსახლეობისათვის უკვე ცნობილია, დეპარტამენტ „საქენერგოს" განცხადება, რომელიც მან აღნიშნული გამოსვლის გამო გააკეთა და რომელშიც კატეგორიულად უარყოფილია ბატონ რევაზ შავიშვილის მიერ წაყენებული ბრალდებები.

„საქენერგომ" განაცხადა, რომ ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული საქართველოში მძიმე ენერგეტიკული კრიზისის ერთ-ერთ მიზეზად ენერგეტიკოსების მიერ წარმოებული ელექტროენერგიის არარენტაბელური ექსპორტ-იმპორტის დასახელება. პირიქით, ეს საქმიანობა რენტაბელურია. რაც დოკუმენტურადაა დამტკიცებული.

განცხადებაში ნათქვამია, რომ 1993 წლის აპრილიდან სექტემბრამდე საქართველოს გავლით აზერბაიჯანიდან თურქეთში გადაიცემოდა ელექტროენერგია, რომლის ღირებულებიდან სატრანზიტო 10 პროცენტიც დაუბრკოლებლად მიიღო საქართველომ. ენგურის წყალუხვობის პერიოდში კი იმისთვის, რომ წყალსაცავიდან უქმად არ დაღვრილიყო წყალი, ორ მთავრობას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე აპრილიდან სექტემბრამდე სომხეთის რესპუბლიკას ვაწვდიდით ენგურჰესის მიერ ჭარბად გამომუშავებულ ელექტროენერგიას.

შექმნილი მწვავე ენერგეტიკული კრიზისის შესამსუბუქებლად რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დახმარებით „საქენერგო" განახორციელებს ელექტროენერგიის მხოლოდ და მხოლოდ იმპორტს რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან. რუსეთის ფედერაციის ენერგეტიკოსებთან ერთად მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა 500 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის „კავკასიონის" რუსეთის მხრიდან აღსადგენად (ეს ხაზი საქართველოს ტერიტორიაზე უკვე აღდგენილია) და მისი ამუშავება საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო გავზარდოთ იმპორტი რუსეთიდან.

განცხადებაში ხაზგასმითაა თქმული ისიც, რომ 1993 წლის სექტემბრიდან დღემდე საქართველოდან სომხეთში ელექტროენერგიის არავითარი ექსპორტი არ განხორციელებულა.

ასევე სინამდვილეს არ შეესაბამება მტკიცება იმისა, თითქოს „საქენერგო" თბილისს აკლებდეს 100 მეგავატ ელექტროენერგიას, რომელსაც ზოგიერთ საწარმოს აღურიცხავი პროდუქციის შესაქმნელად აწვდიან.

რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს მიაჩნია რომ შექმნილ სიტუაციაში ყოველგვარი ტენდენციურობა, ვის მიერაც უნდა იყოს იგი გამჟღავნებული, მით უფრო, რესპუბლიკური სტრუქტურის ხელმძღვანელის ამგვარი განცხადება, ხელოვნურად ძაბავს ისედაც რთულ ვითარებას, ხელს უწყობს ხელისუფლებისა და მთავრობის მიმართ მოსახლეობაში უნდობლობის განწყობილების შექმნას, საბოლოო ჯამში კი — დესტაბილიზაციის პროცესის გაძლიერებას.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელობა შექმნილ ექსტრემალურ ვითარებაში პრაქტიკულად ცდილობს მდგომარეობის გამოსწორებას მისთვის მისაწვდომში ყველა ხერხითა და შესაძლებლობით, მათ შორის, ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელებითაც. ამასთან იგი მზადაა განიხილოს და მიიღოს ყველა საქმიანი წინადადება, მათ შორის, კონტროლის პალატის მიერ მიწოდებულიც, რომელიც ხელს შეუწყობს სიტუაციის მეტ-ნაკლებად განმუხტვას.

ამასთან ერთად, სრულიად მიუღებლად მიიჩნევს ზოგიერთთა მიერ პოლიტიკური დივიდენდების მოპოვების მცდელობას ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის დაძაბულობის შექმნის გზით. სამწუხაროდ, სწორედ ასე შეიძლება შეფასდეს ბატონ რევაზ შავიშვილის მიერ ფაქტების ნებსით თუ უნებლიედ დამახინჯება, მათი არაკომპეტენტური ინტერპრეტაცია, პრობლემების ძიება და შექმნა იქ, სადაც ისინი არ არსებობენ.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი კვლავაც პრინციპულად შეაფასებს ქვეყნის დესტაბილიზაციისათვის გამიზნულ ნებისმიერ გამოვლინებას და მოუწოდებს მოსახლეობას, რაგინდ ძნელიც უნდა იყოს ეს შექმნილ სიტუაციაში, სიმშვიდისა და ობიექტურობისაკენ, რაც მთავრობის პრაქტიკული საქმიანობის შედეგიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს

განცხადება

აფხაზურმა სეპარატისტულმა რეჟიმმა კიდევ ერთი უპრეცენდენტო ნაბიჯი გადადგა — 1994 წლის 26 ნოემბერს, მიიღო აფხაზეთის ეგრეთ წოდებული ახალი კონსტიტუცია, აფხაზეთი გამოაცხადა სუვერენულ სახელმწიფოდ, საერთაშორისო სამართლის სუბიექტად, პრეზიდენტი გახდა აფხაზური აგრესიული სეპარატიზმის ლიდერი ვ. არძინბა.

აფხაზმა სეპარატისტებმა უცხო რეაქციული ძალების გამოყენებით ერთი წლის წინათ, ხელყვეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, დროებით ვერ ხორციელდება საქართველოს იურისდიქცია მის ძირძველ და განუყოფელ ნაწილში — აფხაზეთში, გამოდევნილია მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, მათ შორის, 20 ათასზე მეტი აფხაზი, განხორციელდა ქართველთა და სხვა ხალხთა ეთნიკური წმენდა — გენოციდი, ახლა კი ცდილობენ დე-იურედაც დაასაბუთონ დე-ფაქტო.

არავისთვის საეჭვო არ უნდა იყოს, თუ რისთვის სჭირდებოდათ გუდაუთელ ნაციონალ-სეპარატისტებს და მათს კაცთმოძულე იდეოლოგებს მსოფლიო მასშტაბით ისტერიული ყიჟინი ქართველთა აგრესიის, მცირერიცხოვანი აფხაზი ერის ჩაგვრისა და შევიწროების შესახებ. ფაქტი ნათელია — აფხაზურმა მხარემ ნიღაბი მოიხსნა: მსოფლიოს თვალწინ საქართველოს — საერთაშორისო სამართლის სუბიექტს, დამოუკიდებელ, სუვერენულ, უძველესი სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყანას სახელმწიფოებად და ტერიტორიებად ანაწილებენ.

ფეხქვეშ გათელა გაეროს, ევროთათბირის, საქართველოს, რუსეთის ფედერაციის, სხვა ქვეყნების, საერთაშორისო ორგანიზაციების დიდი ძალისხმევა აფხაზეთის პრობლემის ცივილიზებული, პოლიტიკური მოწესრიგების უზრუნველსაყოფად, აფხაზური მხარის მიერ ცალმხრივად დენონსირებულია აფხაზ-ქართველთა კონფლიქტის თაობაზე მის მიერვე დადებული ხელმოწერები, მანვე უაზრო გახადა სამშვიდობო ოპერაცია.

გუდაუთის თვითმარქვია ფაშისტური რეჟიმი მსოფლიოს თვალში თავგასულობით იჩემებს რა დემოკრატიისა და თავისუფლების, აფხაზი ხალხის თვითგამორკვევის უფლებისა და ეროვნული სამართლიანობის დამცველის გარანტის როლს, აფხაზეთს აცხადებს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აფხაზეთიდან დევნილი, ამ ტერიტორიაზე მოსახლე 300 ათასზე მეტი ადამიანის ზურგს უკან, მათი ნებისა და ინტერესების გათვალისწინების, მათი მონაწილეობის გარეშე. კიდევ ერთხელ აბუჩადაა აგდებული აფხაზეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, რომელსაც ართმევენ საკუთარ სამშობლოში დაბრუნების სამართლებრივ უფლებასა და რეალურ შანსსაც კი.

26 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ეგრეთ წოდებული აფხაზეთის რესპუბლიკის არალეგიტიმურმა უზენაესმა საბჭომ, რომელიც გაუქმებულია საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 10 მარტის დადგენილებით, თვით აფხაზი ხალხისათვის გადადგა საბედისწერო ნაბიჯი: ჩაშლის საფრთხე შეუქმნა სამშვიდობო პროცესს, საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით ადრე მიღწეულ მორიგებებს, შექმნა ვითარება და პირობები, როცა საქართველოს სახელმწიფოს, მის ხალხს არ დაუტოვა სხვა არჩევანი გარდა იმისა, რომ იარაღის ძალით აღადგინოს თავისი ტერიტორიული მთლიანობა, აფხაზეთიდან გამოდევნილი ხალხების ღირსება და სახელი.

სანამ გვიან არ არის, მოველით მსოფლიო გაერთიანების, რუსეთის ფედერაციის, სხვა ქვეყნების ენერგიულ რეაგირებას ალვირახსნილი სეპარატიზმის ასალაგმავად.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო აფხაზეთიდან დევნილი ხალხების სახელით გამოთქვამს უკიდურეს აღშფოთებას გუდაუთის რეჟიმის ამ ახალი თავხედობისა და საშიში პოლიტიკური ნაბიჯის გამო და აფრთხილებს აფხაზური მხარის ლიდერებს, ამცნობს რუსეთის ფედერაციას, მსოფლიო გაერთიანებას, რომ რადაც უნდა დაუჯდეს და როგორი მსხვერპლის გაღებაც უნდა მოუხდეს, გამონახავს ძალებსა და საშუალებებს, აფხაზეთის დასაბრუნებლად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

თბილისი, 28 ნოემბერი, 1994 წელი.

საქართველოს რესპუბლიკაში სომხეთის რესპუბლიკის საელჩოს განცხადება

25 ნოემბერს, პარლამენტის სხდომაზე კონტროლის პალატის თავმჯდომარის რევაზ შავიშვილის გამოსვლასთან დაკავშირებით, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „საქენერგო" ელექტროენერგიის ნაწილს აძლევს სომხეთის რესპუბლიკას, საქართველოს რესპუბლიკაში სომხეთის რესპუბლიკის საელჩო მთელი პასუხისმგებლობით უარყოფს ბატონ შავიშვილის განცხადებას და ამტკიცებს, რომ მას საერთო არაფერი აქვს სინამდვილესთან და არ ეფუძნება არავითარ რეალურ ფაქტებს.

სომხეთის რესპუბლიკის საელჩო სარგებლობს შემთხვევით და აღნიშნავს, რომ ამგვარი დაუფიქრებელი განცხადებები ვერ მოახდენს უარყოფით გავლენას ორი მეგობარი სახელმწიფოს კეთილმეზობლურ ურთიერთობაზე.

ღვაწლი

ქართული ლიტერატურის სამსახურში

ჭეშმარიტი მეცნიერის იუბილე ყოველთვის დღესასწაულია მეცნიერებისთვის. მაგრამ, თუ ამ პიროვნებამ მთელი სიცოცხლე უძღვნა ქართული ლიტერატურის საკითხების კვლევას, მაშინ ეს ცნება სცილდება მეცნიერების საზღვრებს, რადგანაც ქართული ენა და ლიტერატურა მხოლოდ საგანი კი არა, ერის საძირკველი, მისი არსი, ფუძეთა ფუძეა.

ასეთი პიროვნება გახლავთ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე ლევან მენაბდე, რომელსაც 70 წელი შეუსრულდა.

ნახევარი საუკუნეა, რაც ბატონი ლევანი ქართული ლიტერატურის სამსახურშია. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მან ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში დაიწყო. გამოქვეყნებული აქვს 400-ზე მეტი ნაშრომი. მათ შორის ისეთი ფუნდამენტური კვლევები, როგორიცაა „სულხან საბა ორბელიანი", „ძველი ქართული მწერლობის კერები", „ვახტანგ მეექვსე", „ვეფხისტყაოსანი" და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი", „რუსთაველი საზღვარგარეთულ ლიტერატურაში", „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების", „ძველი ქართული კულტურის კერები" და სხვა.

მისი უშუალო ხელმძღვანელობით და რედაქციით გამოიცა მეცნიერული ნარკვევების რამდენიმე კრებული: „სულხან საბა ორბელიანი", „შუშანიკის წამება", „ივერონი-1000", „ძველი ქართული მწერლობის მკვლევარნი", „რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში", „ჩვენი საუნჯე", „ქართული პოეზია" და სხვა.

პროფესორ ლევან მენაბდის ინ- [illegible] ტაქტების გაღრმავებას".

აღსანიშნავია, რომ ლევან მენაბდის ნაშრომები გამოქვეყნებულია რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, სპარსულ, თურქულ, ტაჯიკურ და მოლდავურ ენებზე.

დღესაც ბატონი ლევანი არა მარტო კითხულობს ლექციებს და ზრდის ახალ თაობას, არამედ აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებშიც.

ამ დღეებში ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა მას და ესაუბრა იუბილარს:

— თქვენი მონოგრაფია „ძველი ქართული მწერლობის კერები" ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაშრომია ქართველოლოგიაში. იგი საფუძვლიანი კვლევა-ძიების ნაყოფია. როგორ აფასებს მას ქართული მეცნიერება?

— მოვუსმინოთ გამოჩენილ მოღვაწეთა დასკვნებს:

აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე: „შესრულებულია შრომა, რომელიც ავსებს ერთ-ერთ ხარვეზს ჩვენი ლიტერატურის ისტორიისას და რომელიც არასდროს არ დაკარგავს მნიშვნელობას მოსწავლე ახალგაზრდობისა და საერთოდ მკითხველი საზოგადოებისთვის. ავტორს შეუსწავლია არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, ჩვენი სიძველთსაცავების ხელნაწერები და ამოუკრებია საჭირო ცნობები, ზოგჯერ სრულიად ახალი და უცნობი. ის არკვევს მრავალ სამეცნიერო საკითხს ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიიდან და გარკვეული სინათლე შეაქვს სადისკუსიო საკითხში".

აკადემიკოსი აკაკი შანიძე: „ძველი ქართული მწერლობის კერები" კეთილსინდისიერად დაწერილი სერიოზული ნაშრომია, რომელსაც დიდი ხანია ელოდება საზოგადოება. ის დროული და მეტად საჭირო წიგნია."

პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე: „მენაბდის წიგნი პრობლემატური საკითხის მონოგრაფიულად შესწავლის პირველი სერიოზული ცდაა. ის კარგი შენაძენია ქართული მეცნიერებისთვის".

აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე: „ძველი ქართული მწერლობის კერები" დაწერილია კარგი ცოდნით, გულისხმიერებით, სიყვარულითა და კეთილსინდისიერებით. ავტორს სამაგალითო სისრულით აქვს აღწერილი და განხილული ქართული მწერლობის კერების აღმოცენებისა და განვითარების ისტორია".

— კვლავაც თუ აგრძელებთ მუშაობას პრობლემებზე, რომლებიც წამოჭრილია თქვენს ნაშრომში?

— რასაკვირველია. უნდა გამოიცეს მომდევნო ტომი, რომელშიც მიმოხილული იქნება ჩრდილოეთში — რუსეთსა და უკრაინაში — აღმოცენებული ქართული მწერლობის კერების ისტორია. მასზე კარგა ხანია [illegible] რამდენიმე ნაკვეთი გამოქვეყნებულიც მაქვს და სულ მალე [illegible] სრულებული სახით [illegible] მკითხველს.

— თქვენ რუსეთში აღმოცენებული ქართული მწერლობის კერები ახსენეთ. იქნებ გვიამბოთ რამდენიმე სიტყვით რუსეთის სამეცნიერო წრეებთან თქვენი კათედრის ურთიერთობის შესახებ?

— ადრეულ წლებში ინტენსიურად ვითარდებოდა და მტკიცდებოდა ქართველ და რუს სწავლულთა მეცნიერული კონტაქტები და შემოქმედებითი თანამშრომლობა. ამის ნათელი დადასტურებაა ის კავშირურთიერთობა და მეგობრობა, რომელიც წლების მანძილზე არსებობდა ყოფილ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტსა (პუშკინის სახლი) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის.

ჩვენი მეგობრობა წლიდან წლამდე იზრდებოდა და ძლიერდებოდა. განსაკუთრებული იყო 1992 წელი — მაშინ ჩვენმა უნივერსიტეტმა გამოსცა წიგნი: „შუა საუკუნეების ქართული და რუსული ლიტერატურა". ამ წიგნს გამოჩენილი რუსი მეცნიერი, პროფესორი გ. პროხოროვი ასე გამოეხმაურა: „შესანიშნავია, რომ თქვენ გამოეცით ეს წიგნი იმ მომენტში, როდესაც თქვენი და ჩვენი პოლიტიკოსები ვერ პოულობენ საერთო ენას. ეს კრებული მათ რომ ხელში აიღონ, უთუოდ დაეხმარებათ ამ საქმეში".

— ბატონო ლევან! თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთაველის კაბინეტი დიდ მუშაობას ატარებს რუსთაველის პოემის შესწავლის და პოპულარიზაციის მიზნით. მაგალითად, თქვენი ხელმძღვანელობით მომზადდა კრებული „რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში".

— ორ- [illegible] ვიდრა მსოფლიო კულტურის საგანძურში. ქართველი მკითხველებისათვის ცნობილი იყო არაერთი უცხოელის წერილი თუ გამონათქვამი რუსთაველსა და მის პოემაზე, მაგრამ არ არსებობდა კრებული, რომელშიც თავმოყრილი იქნებოდა საზღვარგარეთელ მოღვაწეთა ნააზრევი ჩვენს სახელოვან პოეტზე. არსებული ხარვეზის შევსების მიზნით რუსთაველის კაბინეტმა წამოიწყო შრომატევადი სამუშაო-შეკრება, შერჩევა, თარგმნა, შესწავლა და შეფასება მსოფლიოს ხალხთა ენებზე არსებული რუსთველოლოგიური მასალებისა. მრავალწლიანმა შრომამ სასურველი შედეგი გამოიღო... მკითხველმა მიიღო „რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში".

— ბატონო ლევან, თქვენ 26 წელიწადია უძღვებით კათედრას. რას გვეტყვით მის მუშაობაზე?

— ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ქართული ფილოლოგიის პატრიარქმა კორნელი კეკელიძემ, სერიოზული მეცნიერული ძალებია (მათ შორისაა ერთი აკადემიკოსი, ხუთი დოქტორი — პროფესორი, რვა კანდიდატი — დოცენტი ან მეცნიერი თანამშრომელი). ისინი, ეწევიან ნაყოფიერ სასწავლო-აღმზრდელობით და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას — სწავლობენ ძველი ქართული ლიტერატურის ძირითად პრობლემებს, წარმოაჩენენ ამ ლიტერატურის კულტურულ-ისტორიულ და მხატვრულ ღირებულებასა და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას, აქვეყნებენ პირველწყაროებს, მონოგრაფიებს, სახელმძღვანელოებს, ღირსეული წვლილი შეაქვთ ახალგაზრდობის აღზრდასა და მომავალი სპეციალისტების მომზადებაში.

— თითქმის ნახევარი საუკუნე, ზრდით ჩვენს ახალგაზრდობას...

— ქართველი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი გამოირჩევა ნიჭიერებით, პატრიოტული სულისკვეთებით, შრომისმოყვარეობით, მიზანსწრაფული საქმიანობით. მან ძნელბედობის ჟამს გამოავლინა მშობლიური ენისა და ლიტერატურის სიყვარული, აქტიური მონაწილეობა მიიღო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, თავი გამოიჩინა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში.

ჩვენი საუბარი დასასრულს მიუახლოვდა, მაგრამ როგორც მკითხველი შეატყობდა, ბატონი ლევანი სიტყვაძუნწი იყო როცა საქმე ეხებოდა მის პირად ღვაწლს ამ სამეცნიერო საქმეში, რომელსაც იგი ემსახურება, ამიტომაც უფრო მეტი ილაპარაკა თავის კათედრაზე, რუსთაველის კაბინეტზე. ჭეშმარიტი მეცნიერი ალბათ, ასეთიც უნდა იყოს...

გალინა ჩიქოვანი.

სურათზე: თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის კაბინეტში: ლევან მენაბდე, დიმიტრი ლიხაჩოვი და ალექსანდრე ბარამიძე. 1977 წ.

ხიდები

მეგობარს მოუვლება უნდა

ავსტრიის რესპუბლიკაში სამუშაო ვიზიტად იმყოფებოდა საქართველოს რესპუბლიკის დელეგაცია.

ვესაუბრება დელეგაციის ხელმძღვანელი, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მართლწესრიგის, თავდაცვის, უშიშროებისა და საგანგებო სიტუაციების საკითხთა წამყვანი სახელმწიფო მრჩეველი ნუგზარ ჭავთარაძე.

— **დელეგაციაში** ვიყავით ბატონი დემურ მიქაძე, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი, პოლიციის გენერალ-მაიორი ტარიელ იაშვილი, შინაგან საქმეთა სამინისტროს კავშირგაბმულობის სამმართველოს უფროსი, პოლიციის მაიორი, და მე.

ვენაში შემოგვიერთდნენ ევროპის საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს რესპუბლიკის მისიის ხელმძღვანელი ნოდარ გიორგაძე და საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენელი ავსტრიასა და სლოვაკეთში გიზო ბაქანიძე.

ძალიან დაგვეხმარა ავსტრიაში მომუშავე რუსი ჟურნალისტი, რუსეთის ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი იგორ ბელოვი, რომელიც თარჯიმნის როლს ასრულებდა.

ჩვენი სამუშაო ვიზიტის მთავარი მიზანი ის იყო, რომ უნდა გაგვეგრძელებინა მოლაპარაკება ავსტრიელ ბიზნესმენებთან თბილისის პოლიციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რაოდენობრივი და თვისებრივი აღჭურვის საკითხებზე.

პრობლემა ასეთია: თუ გვინდა რუტინას თავი დავაღწიოთ, პოლიციამ თავისი ფუნქცია ღირსეულად შეასრულოს და რესპუბლიკაში წესრიგი დამყარდეს, აუცილებელია პოლიციის საქმიანობის სრული კომპიუტერიზაცია, მისი აღჭურვა უახლესი ოპერატიული სატელეფონო და რადიოკავშირით, სპეცდანიშნულების ოპერატიული ტექნიკით, ოპერატიული მართვისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის საშუალებებით.

ამასთან, უნდა გავეცნობოდით ავსტრიის სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას, დაგვემყარებინა საქმიანი კონტაქტები მათ ხელმძღვანელებთან.

— თქვენ ბრძანეთ მოლაპარაკების გაგრძელების თაობაზე. გამოდის, რომ ავსტრიელ პარტნიორებთან ადრეც გქონდათ შეხვედრები?

— დიახ, გვქონდა. წლეულს, მაისში, ვენის დიპლომატიურ აკადემიაში სტაჟირებაზე მყოფი ჩემი ვაჟის მიწვევით შვებულების ერთი კვირა ავსტრიის დედაქალაქში გავატარე. სწორედ იქ დაგვებადა აზრი და სურვილი როგორღაც დავეხმარებოდით ჩვენი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებს, კერძოდ თბილისის პოლიციას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელი მუშაკების გიორგი კუზნეცოვისა და ჩვენი თანამემამულის კანდიდ მელიას მეშვეობით შევხვდი ცნობილ ავსტრიელ ბიზნესმენს, დასავლეთევროპული ფირმების ავსტრიაში საქმიანობის კოორდინატორს ჰერბერტ ვაინბერგერს, რომლის ფირმის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება სამართალდამცავი ორგანოების უახლესი ტექნიკით და საინფორმაციო საშუალებებით უზრუნველყოფაა.

ბატონმა ჰ. ვაინბერგერმა, იმის მიუხედავად, რომ იმ დღეს კათოლიკური ეკლესიის დიდი დღესასწაული იყო, საკუთარ ბინაში მიგვიღო (ამ დღეს ავსტრიაში არავინ მუშაობს).

საუბარი მშრალად, ოფიციალურად და დაძაბულად წარიმართა. მიზეზს თავიდან ვერ მივხვდი. აღმოჩნდა, რომ მასპინძელი კარგად იცნობს საქართველოში მიმდინარე პროცესებს, აქ არსებულ უმწვავეს პრობლემებს და ამიტომ შორს დაგვიჭირა: „მთელი მსოფლიო თქვენ გიცნობთ როგორც უძველესი და უმდიდრესი კულტურის ერს, როგორც შრომისმოყვარე, სტუმართმოყვარე, კაცთმოყვარე ხალხს. რა დაგემართათ, რა ვერ გაიყავით? მინდა იცოდეთ, რომ თუ არა თქვენი სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ავტორიტეტი, საქართველოსკენ არცერთი ქვეყანა არ გამოიხედავდა და არც მე მიგიღებდით".

— ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის ასეთი შეფასება პირველი არ არის, ზოგ-ზოგს კი ჰგონია რომ ბატონ ედუარდ შევარდნაძის საამებლად ნათქვამი სიტყვებია.

— ვიცი, მაგრამ ვინც მე მიცნობს, დამერწმუნება, რომ არავის საამებლად არ ვიტყოდი ამ სიტყვებს. უბრალოდ, ასე თქვა ჩვენმა მასპინძელმა. ბატონ ვაინბერგერთან პირველი შეხვედრის შედეგების შესახებ მოხსენდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს და პრემიერ-მინისტრს ოთარ ფაცაციას. რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა დიდი ყურადღება და დაინტერესება გამოიჩინეს შემოთავაზებული წინადადებებისადმი. რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა პრინციპული თანხმობის წერილი გაუგზავნა ბატონ ვაინბერგერს, ხოლო სახელმწიფოს მეთაურმა იმისათვისაც კი გამონახა დრო, დეტალებში გასცნობოდა ავსტრიული მხარის მიერ შემოთავაზებული ვიზიტის პროგრამას და საჭირო რჩევა-დარიგება მოეცა ჩვენთვის.

დიდი გულისყურით მოეკიდა პროექტის განხორციელების იდეას შინაგან საქმეთა მინისტრი შოთა კვირაია, რომლის ძალისხმევითაც განხორციელდა ვიზიტი ავსტრიაში.

ავსტრიაში ყოფნის მთელ პერიოდში ყველგან ვგრძნობდით, თუ როგორი სერიოზულობით, პუნქტუალობით და აკადემიზმით ეკიდებიან ავსტრიელები საქმეს, სამსახურებრივ მოვალეობას. იმავე დღეს მასპინძლებთან ერთად დელეგაცია სრული შემადგენლობით გაემგზავრა ავსტრიის რესპუბლიკის კარინტიის ფედერალური მიწის დედაქალაქ კლაგენფურტში, სადაც 3 დღის განმავლობაში უნდა გავცნობოდით ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოებისა და საგანგებო სიტუაციების უწყების საქმიანობას.

შეხვედრები გვქონდა კლაგენფურტის პოლიციის ფედერალურ დირექციაში, კარინტიის ფედერალური მიწის საზოგადოებრივი უშიშროების სამსახურში, ადგილობრივ ჟანდარმერიისა და საგანგებო სიტუაციების უწყებაში, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილ ამ უწყებებში, გავეცნობით მათი მუშაკების საქმიანობის რიტმი, პროფესიონალიზმი, მაღალორგანიზებულობა, ოპერატიულობა და კულტურა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე ჟანდარმერიასთან არსებული, განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეებთან მებრძოლი სპეცდანიშნულების რაზმის „კობრას" ძალებისა და საშუალებების დემონსტრირებამ.

გაგვაცნეს უსანქციო მიტინგებისა და დემონსტრაციების ალმკვეთი სპეცდანიშნულების ასეულის მუშაობაც. ნეიტრალურ და დემოკრატიულ ავსტრიაში ასეთი დანაყოფიც არსებობს. ავსტრიელები იზიარებენ პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ დემოკრატია ქვეყანაში რეალურად არსებულ პირობებში განხორციელებული მმართველობის ფორმაა.

— დარწმუნებული ვარ ყველა შეხვედრა საქმიანი და ძალზე საინტერესო იქნებოდა, მაგრამ ხომ არ გამოყოფდით რომელიმე მათგანს?

— ვხვდები თქვენს შეკითხვაში ჩადებულ ტაქტიან მინიშნებას, რომ ყველა შეხვედრის აღწერას მთელი გაზეთი არ ეყოფა.

დაგვამახსოვრდა შეხვედრა კარინტიის ფედერალური მიწის პრემიერ-მინისტრთან დოქტორ ტერნატოსთან, რომელმაც მთავრობის სასახლის საზეიმო რიტუალების სარკეებიან დარბაზში მიგვიღო, დიდი სითბოთი და სიყვარულით ილაპარაკა საქართველოზე, ბატონ ედუარდ შევარდნაძეზე, გაიხსენა ბატონ ოთარ ფაცაციას ბოლოდროინდელი ვიზიტები დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში და გვთხოვა გულთბილი სალამი და საუკეთესო სურვილები გადაგვეცა ქართველი ხალხისათვის, რასაც სიამოვნებით ვასრულებთ თქვენი გაზეთის მეშვეობით.

შეხვედრის დასასრულს დოქტორ ტერნატოს სამახსოვრო საჩუქრები გადავეცით.

ქართულ ხანჯალს რომ დახედა, გულიანად გაიცინა და გვითხრა: „თუ ეს ხანჯალი ოპოზიციასთან საბრძოლველად ჩამომიტანეთ (დოქტორ ტერნატოსაც ჰყავს), მაშინ მე სერიოზულად უნდა ვიფიქრო, რა საჩუქარი გავუგზავნო ბატონ ედუარდ შევარდნაძესო". (ჩანს, იმანაც იცის აქაური ოპოზიციის არსებობის შესახებ).

ამ შეხვედრასთან არის დაკავშირებული ერთი კურიოზიც.

მთავრობის თავმჯდომარესთან საქართველოს დელეგაციის ვიზიტის შესახებ ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში და ფოტოსურათის წარწერაზე მე გენერლად ვიყავი მოხსენიებული. ბუნებრივია, შევწუხდი და მასპინძლებს ვთხოვე ეცნობებინათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის, რომ მე ვარ [illegible]კი და გაესწორებინათ დაშვებული შეცდომა.

მეორე დღეს, საქართველოს დელეგაციის ვიზიტისადმი მიძღვნილი რადიოგადაცემა ასე დაიწყო: „საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობს გენერალ-პოლკოვნიკი ნუგზარ ჭავთარაძე".

— რომელი ფირმები განახორციელებენ პროექტს?

— ძირითადად გერმანული ფირმა „კროიტლერი", რომლის დირექტორი ბატონი სრეგა ჰამბურგიდან სპეციალურად ჩამოვიდა ჩვენთან შესახვედრად. ერთი დღე მასთან შეხვედრას და პროექტის ყველა დეტალის თვალსაჩინო დემონსტრირებას მიეძღვნა. ამას გარდა, ფირმები „ედუ ები", „კაპში", „აები" და ზემოთ ხსენებული „ალკატელი".

პროექტის განხორციელების ვადა 2 წელიწადია, ან ჩვენთვის მისაღები სხვა პერიოდი.

— რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, ალბათ, ყველაზე რთული პროექტის დაფინანსების წყაროების გამოძებნა იქნება...

— უკვე მოგახსენეთ თუ რაოდენ დიდი დაინტერესება და ყურადღება გამოიჩინა რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ პროექტის მიმართ. ჩვენ უპირველეს ყოვლისა სწორედ მისი იმედი გვაქვს.

ჩვენი ღრმა რწმენით, ამ საქმეში სერიოზული წვლილი უნდა შეიტანონ ქართველმა ბიზნესმენებმა, ბანკირებმა, კომერციული სტრუქტურების წარმომადგენლებმა და ყველამ, ვისაც სურს საქართველოში ნანატრი მშვიდობისა და წესრიგის დამკვიდრება. ისიც უნდა გაცნობოთ, რომ ბავარიის პრემიერ-მინისტრი ჩვენი პრემიერის მიმართვის პასუხად „ბმვ" მარკის რამდენიმე სპეციალურ პოლიციურ მანქანას უსასყიდლოდ გადმოგვცემს.

გასახსენებელი ძალზე ბევრია. მაგრამ არც გაზეთის ფართობია უსაზღვრო.

• • •

ამ ხელშეკრულების შედეგი იყო, რომ თბილისს ესტუმრნენ ავსტრიელი და გერმანელი ბიზნესმენები. ეს ვიზიტი „საქართველოს რესპუბლიკამ" ფართოდ გააშუქა.

• • •

შინ დაბრუნებულმა ბიზნესმენებმა მადლობის დეპეშა გამოგზავნეს საქართველოში, სადაც ასეთი სიტყვებიც არის: „გთხოვთ ჩვენი მხურვალე მადლობა გადასცეთ თქვენი ქვეყნის მეთაურს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს და პრემიერ-მინისტრს ბატონ ოთარ ფაცაციას.

ჩვენ ყველანი იმ უდიდეს შთაბეჭდილების გავლენას განვიცდით, რომელიც თქვენს [illegible] რესპუბლიკაში თქვენი შესანიშნავი ადამიანებისგან მივიღეთ. [illegible] ჩვენი მეგობრები გახდნენ და ჩვენც თქვენი ქვეყნის მეგობრებად გავხდით".

ესაუბრა
ეკა ლეჟავა

ახალგაზრდებო, თქვენ გეძლევათ იშვიათი შესაძლებლობა ყველაზე იაფად მიიღოთ უმაღლესი განათლება, დაეუფლოთ სასურველ სპეციალობას საზღვარგარეთ

INTERCOLLEGE
CYPRUS: NICOSIA, LIMASSOL, LARNACA

[illegible]

გიწვევთ სასწავლებლად პრესტიჟულ, თანამედროვე სპეციალობების დასაუფლებლად
შეგიძლიათ აირჩიოთ:

- ბიზნესის მართვა ([illegible])
- [illegible]
- [illegible] და [illegible] მართვა
- [illegible]
- [illegible]
- [illegible] ([illegible])
- [illegible] ([illegible] მართვა)
- დიზაინი

[illegible]

საბუთების შემოტანა სასწრაფოა!
მოგვმართეთ მისამართით: თბილისი, ანჯის ქ. №7,
შრომის სასახლე, 33-ე სართული.
ცნობებისათვის დარეკეთ: 38-98-31; 39-48-28; 37-58-90.
კვიპროსის უნივერსიტეტ-ინტერკოლეჯის წარმომადგენლობა.

ინციდენტი

ევგენი ევტუშენკო ზუგდიდში

რუსეთის სამშვიდობო ძალების მოწვევით ამ დღეებში სოხუმში იმყოფებოდა ცნობილი რუსი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ევგენი ევტუშენკო, რომელმაც გულრიფშში მოინახულა თავისი აგარაკი, სადაც ძვირადღირებული საცხოვრებელი სახლი ფერფლად ქცეული დახვდა. საგულისხმოა, რაც პოეტმა განაცხადა: მისი აგარაკი აფხაზმა სეპარატისტებმა სოხუმის აღების შემდეგ გაანადგურეს. სოხუმიდან იგი რუსეთის თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრის თანამშრომლების თანხლებით ზუგდიდში ჩამოვიდა და შეხვდა გამგებელს ედიშერ ჩარგაზიას, ზუგდიდის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს. ეწვია ზუგდიდელი მეგობრის ოთარ ქითანავას ოჯახს, სადაც გულღიად ილაპარაკა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე. მის საუბარში იგრძნობოდა, რომ იგი გმობს აფხაზეთის პრობლემების გადაწყვეტის საქმეში სეპარატისტული ძალებისა და მას მიტმასნილი ახლომხედველი პოლიტიკოსების მოქმედებას. მისი აზრით, აფხაზურ-ქართულ კონფლიქტს ტალეირანის დონის პოლიტიკოსი თუ უშველის. საინტერესოა ვინ იქნება ეს „ტალეირანი“: მსოფლიო რანგის პოლიტიკოსი შევარდნაძე თუ, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, აკვანში მწოლიარე ყრმა?

ოდიკ ქუჩილავა.

განხორციელდა კიდევ ერთი ოპერაცია

25 ნოემბერს თბილისში შინაგან საქმეთა სამინისტროსა და დედაქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოს ძალებით განხორციელდა კიდევ ერთი ფართომასშტაბიანი ოპერაცია.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს დედაქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსმა, გენერალ-მაიორმა თემურ მიქაძემ უთხრა, 11 საათისათვის უკვე გამოვლენილი იყო ყაჩაღობის ოთხი ფაქტი, დააკავეს ერთი კანონიერი ქურდი, ასევე ხუთი პიროვნება, ხუთივე ძებნაში მყოფი პირი, დაკავებულია აგრეთვე მკვლელი, რომელმაც მოკლა საკუთარი დედა, ნაპოვნია ადრე გატაცებული ავტომანქანა, დაკავებულ ექვს პირს. აღმოაჩნდათ ფეთქებადი ნივთიერება, გამოვლენილია ნარკომანიის თოთხმეტი ფაქტი, ჩამორთმეულია 42 კილოგრამი მარიხუანა, 5 კილოგრამი ოპიუმი, ორი ოპიუმის ჩეკი, ჩამორთმეულია მაკაროვის სისტემის ცხრა პისტოლეტი, ორი ნაგანი, სამი ავტომატი, სამასოცდაოთხი ვაზნა, ჩეხური წარმოების პისტოლეტი, უცხოური პასპორტები, დაკავებულია სპილენძით დატვირთული ერთი სატვირთო ავტომანქანა.

ოპერაცია გრძელდება.

განაჩენი აღსრულებულია

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ წარსულში ნასამართლევი კობა იმნაიშვილი, ვარლამ და სოფიო სიხარულიძეები ქალაქ ლანჩხუთში, ქურდობის მიზნით შეეცადნენ შეპარულიყვნენ ჯერ აბშილავას, ხოლო შემდეგ წილოსანის ბინაში, სადაც მათ წინააღმდეგობა გაუწიეს. ხელმოცარული ბოროტმოქმედნი იძულებული გახდნენ გასცლოდნენ შემთხვევის ადგილს. პოლიციამ შეამჩნია ისინი და შეეცადა მათ დაკავებას. დამნაშავენი არ დაემორჩილნენ ხელისუფლების წარმომადგენლებს, ამ დროს კ. იმნაიშვილმა თოფით მოკლა ლანჩხუთის შინაგან საქმეთა განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი თ. ცანვაძე.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ჩადენილი დანაშაულისათვის მიუსაჯა: სოფიო სიხარულიძეს — რვა წლით, ვარლამ სიხარულიძეს — ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო კობა იმნაიშვილს სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — დახვრეტა.

განაჩენი სისრულეში მოყვანილია.

უზენაესი სასამართლოს პრესსამსახური.

ამ დღეებში

გვაცნობიერებენ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

დავიწყებას მიცემული ძველქართული სიტყვა — მანა, რაც ანძას ნიშნავს, სატელევიზიო ფესტივალმა „მანა-94“-მა კვლავ დაამკვიდრა თანამედროვე ლექსიკაში. ეს ოთხმარცვლიანი სიტყვა ბოლო ორი თვის განმავლობაში იმდენი ძალით „გვიტევდა“ ტელეეკრანიდან, რომ შეუძლებელი იყო მისთვის ყურადღება არ მიგვექცია. ქუჩაში, სამსახურსა თუ სახლში თითქმის ყველა „მანაზე“ ლაპარაკობდა...

„მანა“ — მომავლის ფესტივალი!

ფესტივალის ნომინანტთა სიაში ათობით სატელევიზიო პროგრამისა და გადაცემის ასამდე ავტორი და თანაავტორი იყო წარდგენილი. კინომცოდნე გიორგი გვახარიას თავმჯდომარეობით მუშაობდა ჟიური გამარჯვებულთა გამოსავლენად. ტელევიზიის ყველა არხი კი დღეში რამდენჯერმე საზოგადოებრიობას ხუთი ნოემბრისათვის იწვევდა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამარჯვებულთა პრიზებით დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალსა და გალა-კონცერტზე.

ჩვენი ტელევიზიის გადაცემებზე ყველას საკუთარი აზრი აქვს. პირადად მე, ზოგი რამ მომწონს და ვემხრობი, ბევრი რამ კი, უგემოვნობით, სანიმუშო არაპროფესიონალიზმით, ორიგინალურობის პრეტენზიით, მაღიზიანებს და მიკარგავს ყოველგვარ სურვილს „დავრჩე მათთან“, ვთვლი, რომ სატელევიზიო ფესტივალი და განსაკუთრებით მისი დასკვნითი ნაწილი — საზეიმო ცერემონია, გაცილებით საინტერესო სანახაობა და მოვლენა აღმოჩნდა, ვიდრე თვით სატელევიზიო პროდუქცია, რომელსაც „მანა“ აფასებდა.

„მანა-94“-ის ორგანიზატორებმა მართლაც მშვენიერი ზეიმის მოწმედ აქციეს დიდი საკონცერტო დარბაზი, ორიათასკაციანი აუდიტორია. ცერემონიალს უძღვებოდნენ ნატო მურვანიძე და ზაზა ბელიაი. მათ ლაღად, მომხიბვლელი იუმორით წაიყვანეს სალამო, იმის მიუხედავად, რომ ზაზა ბელიაი ბლომად „ყლაპავს“ ბგერებს, იმდენად ხალასი იუმორის პატრონია, რომ მაყურებელი ნაკლსაც პატიობს. ყველაზე მეტად მომეწონა საზეიმო ცერემონიალის რეჟისურა, რომელიც დავით დოიაშვილს ეკუთვნის, ვიცნობ პროფესიულ სცენაზე მის დადგმულ ორივე სპექტაკლს, დამწყები რეჟისორის ხალასი ნიჭიერება განსაკუთრებით თეატრალური ინსტიტუტის მცირე სცენაზე წარმოდგენილმა „მადამ ბოვარმა“ გამოავლინა მთავარ როლში ახალგაზრდა ბრწყინვალე მსახიობის თამარ გეგეჭკორის მონაწილეობით.

„მანა-94“-ის რეჟისორმა შექმნა მეტად სახიერი, მიგნებებით მდიდარი სანახაობა, რომელმაც ძალზე იოლად, ძალდაუტანებლად იპოვა მაყურებლის გულებისაკენ მიმავალი გზა, ყველაფერს, თითქმის უმნიშვნელო ნიუანსსაც და დეტალსაც ახლდა რაფინირებული, ნატიფი გემოვნების ესთეტის თვალთახედვა და სული.

„მანა-94“-ის პრიზი, რომელიც თბილისის ტელეანძის მინიატურულ სახებას წარმოადგენს, გამარჯვებულ ნომინანტებს გადასცეს ფესტივალის ჟიურის წევრებმა და ქართული კულტურის ღვაწლმოსილმა პიროვნებებმა. როგორც იცით, თითოეულ ნომინაციაზე ოთხი-ხუთი ავტორი იყო წარდგენილი, მაგრამ გამარჯვებულად ჟიურიმ თითო მათგანი სცნო, აი ისინიც:

საუკეთესო სატელევიზიო დიქტორი — გიორგი გოგიჩაიშვილი (ტელეკომპანია „იბერვიზია“).

საინფორმაციო პროგრამის საუკეთესო წამყვანი — ეკა ბერიძე („TBC TV STUDIO“, „იბერვიზიაში“ მუშაობის პერიოდი).

საუკეთესო ყოველდღიური საინფორმაციო პროგრამა — საინფორმაციო სატელევიზიო კომპანია „ალიონი“ (პროგრამის ხელმძღვანელი ოთარ შამათავა).

საუკეთესო საინფორმაციო ანალიტიკური პროგრამა — „დაიჯესტ-მონიტორი“ — ლევან კოღუაშვილი (ტ. კ. „იბერვიზია“).

საუკეთესო რისკიანი რეპორტაჟი — „რეპორტაჟი გუმისთიდან“ — საშა იოსელიანი (ტ. კ. „1 არხი“).

საუკეთესო პუბლიცისტური გადაცემა — „აუდიენცია“ — კოკა ყანდიაშვილი („PTP“).

საუკეთესო შემეცნებით-გასართობი პროგრამა — „ვიდეოანონსი“ — გიორგი გაფრინდაშვილი (ტ. კ. „იბერვიზია“).

საუკეთესო იუმორისტული გადაცემა — „პასიანსი“ — მამუკა ღლონტი (ტ. კ. „2 არხი“).

საუკეთესო მუსიკალური გადაცემა — „შოუ-ბიზ დაიჯესტი“ — დათო ლექვაა, ნატა ამაღლობელი (ტ. კ. „2 არხი“).

საუკეთესო საბავშვო-საყმაწვილო გადაცემა — „ტელევიზორი“, ნოდარ ბეგიაშვილი (ტ. კ. „1 არხი“).

საუკეთესო სპორტული გადაცემა — „გოლი“, ბიძინა ბარათაშვილი, ვახტანგ გეგელია (ტ. კ. „იბერვიზია“).

საუკეთესო მუსიკალური კლიპი“ — „ეს მოხდება“; ნიკა ახვლედიანი (სტუდია „მეტეხი“)

საუკეთესო სატელევიზიო რეკლამა — სტუდია „მეტეხის“ რეკლამა, გიორგი ნიკოლაძე, გიორგი გურგულია (სტუდია „მეტეხი“)

სატელევიზიო გადაცემათა საუკეთესო [illegible] — „ცოცხალი“, სერგი გვარჯალაძე (ტ. კ. „2 არხი“).

საუკეთესო სატელევიზიო ფილმი — „არაჩვეულებრივი ფაშიზმი“ მიხეილ ჭიაურელი (კომპანია „ქართული ტელეფილმი“).

საუკეთესო სატელევიზიო რეჟისორი — გიორგი ებრალიძე — გადაცემები „ორატორი“, „ვიდეოთვალი“, „კალენდარი“, რეკლამა „სიგმა-ბანკი“, მუსიკალური კლიპები „შედიხარ ტყეში“ და „ბის მაიმუნი“, კონცერტი „ჰოლივუდის მელოდიები“ (ტ. კ. „2 არხი“).

საუკეთესო სატელევიზიო ოპერატორი — თემურ კალანდარიშვილი — გადაცემა „რილკე“ (ტ. კ. „1 არხი“).

საუკეთესო სატელევიზიო მონტაჟი — გოგიტა მეცხოვრიშვილი, გადაცემა „შოუ-ბიზ დაიჯესტი“ (ტ. კ. „2 არხი“)

საუკეთესო სატელევიზიო პროდიუსერი — ნანა დევდარიანი, (ტ. კ. „დრონი“).

საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი — „ბავშვთა კოლონია“ — ილია ნატროშვილი (საინფორმაციო სატელევიზიო კომპანია).

მაყურებელთა სიმპათიის პრიზი — „მზერა“ — დავით გოგიბედაშვილი (ტ. კ. „2 არხი“).

პრიზები გადაეცათ აგრეთვე ნინო ზაუტაშვილს (ტელეწამყვანს), ქალბატონებს ივლიტა მესხიშვილსა და ლია დალიანიძეს ტელევიზიაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის. ზაზა შენგელიას — სატელევიზიო ფესტივალის „მანა-94“-ის პრეზიდენტს, ფესტივალის „გრან-პრი“ კი გადაეცა ტელეკომპანია „2 არხს“ (დირექტორი ზაზა დარასელი.)

გალა-კონცერტში მონაწილეობდნენ ჯგუფი „სახე“, ჯემ-სეიშენი „ბენდი“ პაატა ამირანაშვილის ხელმძღვანელობით, მომღერლები მერაბ სეფაშვილი, მაია ბარათაშვილი, თაკო გაჩეჩილაძე, თეონა კონტრიძე, თამრიკო ქაშაკაშვილი, ნიკა ახვლედიანი, ია შუღლიაშვილი, ნატო მეტონიძე, კომპოზიტორი დათო ევგენიძე და სხვები. ორიოდე მომღერლის გარდა ყველამ ფრანგულ და ინგლისურ ენაზე „იგალობა“, საინტერესოა, რა დაიშავა ქართულმა სიმღერამ?

საზეიმო ცერემონიალის ბოლოს კი ჩვენთვის ტელეეკრანიდან კარგად ნაცნობმა ადამიანებმა შეასრულეს ფესტივალის ჰიმნი, რომლისთვის ტექსტი დაწერა ჯემალ ბაღაშვილმა, მუსიკა კი — სოსო პავლიაშვილმა.

ძნელად წარმოვიდგენდი თუკი შეიძლებოდა ჩვენს პირობებში ასეთი დონის ფესტივალის გამართვა, იგი რიგი ორგანიზატორული, ტექნიკური სირთულეების გადაწყვეტას მოითხოვდა, ვინც ესწრებოდა და ვინც ტელეეკრანით ნახავს ამ ცერემონიალის ჩანაწერს, დამეთანხმება, რომ შედეგი მართლაც საუცხოო აღმოჩნდა! ფესტივალის ორგანიზატორებმა საკვირველი ენთუზიაზმი, ორგანიზატორული ნიჭი, თავისი საქმისადმი თავდადება და სიყვარული გამოიჩინეს. როცა ასეთ მნიშვნელოვან საქმეს ეკიდები, სწორედ ამგვარი თავდაუზოგავი გარჯაა საჭირო და არა ისეთი დამოკიდებულება, მაგალითად, როგორიც ამ ზაფხულს „გამოიჩინა“ კინოფესტივალ „ოქროს არწივის“ საორგანიზაციო კომიტეტმა, მათ იწყინეს, როცა ამის გამო საყვედური გამოვთქვით, „რთული დრო“ მოიმიზეზეს... მგონი, ახლაა უკეთესი დრო, მაგრამ „მანამ“ როგორღაც მოახერხა მიეღწია შესანიშნავი შედეგისათვის, რაც მართლაც დასაფასებელია.

თავიანთი დამოკიდებულება მათ სხვებსაც გადასდეს, დაარწმუნეს ისინი ფესტივალის გამართვის აუცილებლობაში.

უკვე აშკარაა, რომ „მანა“ სამომავლოდ უფრო მეტ გულშემატკივარს შეიძენს, მის მოახლოებას მართლა ზეიმივით დაელოდებიან ადამიანები, ჩვენი ტელევიზიის საერთო დონესაც ამგვარი სტიმული უდავოდ სასიკეთოდ წაადგება. ამიერიდან ფესტივალის ნომინანტთა სიაში მოსახვედრად უფრო მეტი ნიჭიერი ხალხი გაირჯება, რაც ნიშნავს, რომ ბევრი კარგი გადაცემა გვექნება! ფესტივალის ორგანიზატორები ზაზა შენგელიას ხელმძღვანელობით მართლაც დიდ, ძალიან საჭირო საქმეს უდგანან სათავეში, ფესტივალის დახურვის ცერემონიალზე შევიტყვეთ, რომ „მანა-94“-ის გენერალური სპონსორია კოტე იოსელიანი, სპონსორები არიან ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ნუგზარ ძღენტი, საქართველოს ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტი გიორგი კალანდაძე, ავიაკომპანიები „ორბი“ და „ორიონი“. ქართული კულტურის, სულიერების აღორძინების სურვილით არის შთაგონებული სპონსორთა ქველმოქმედება, რისთვისაც ისინი ფართო საზოგადოებრიობის მადლობას იმსახურებენ.

„მანა-94“-ის ჟიურში შედიოდნენ დალი გურგენიძე, ლადო კახიძე, თამარ ფოცხიშვილი, დათო ტურაშვილი, დავით მაღრაძე, ზურაბ ყიფშიძე, თამარ ჩიქოვანი, გაიოზ კანდელაკი, უკეთეს პიროვნებებს ვერ ინატრებ, მაგრამ მათ შორის მხოლოდ ერთია პროფესიონალი ჟურნალისტი, სატელევიზიო ნამუშევრები კი უპირველესად ჟურნალისტიკის სფეროს განეკუთვნება, ამიტომ სასურველია და აუცილებელიც, სამომავლოდ „მანას“ ორგანიზატორებმა ესეც გაითვალისწინონ, ძირითადად ჟურნალისტები უნდა იყვნენ ჩართული ჟიურის მუშაობაში, მათზე პირუთვნელად ვერავინ განსჯის ტელეპროდუქციის ავ-კარგს.

შეიძლება კიდევ ვილაპარაკოთ ნაკლზე, მაგრამ ისიც არ მავიწყდება, რომ ეს პირველი ფესტივალია, კარგად მესმის როგორი ღელვა, ფიქრი და განცდა, რამდენი ოცნება და დაეჭვება, შრომა და გარჯა უძღოდა წინასაფესტივალო მზადებას.

გულწრფელად ვულოცავთ „მანას“ მესაძირკვლეებს ღირსეულ დასაწყისს, დღევანდელი საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ ფონზე აღნიშნული ფესტივალი მართლაც ღირსსახსოვარ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. იმედი მაქვს, მათი ჩაყრილი ბალავერი მტკიცე აღმოჩნდება, იგი დიდ სამსახურს გაუწევს ქართული ტელევიზიის გამოცოცხლებას, მის აღმავლობას, გვჯერა „მანას“ საიმედო მერმისის, „მანა“ მომავლის ფესტივალია!

გიორგი ლალიაშვილი.
6.XI.94.

* * *

სურათზე: „მანა-94“-ის გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი.
ბ. დვალიშვილის ფოტო.

იუბილე

სოლიდური ნაღვაწით

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გაიმართა ვახტანგ პარკაძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა. ამ ინსტიტუტის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული მეცნიერების ისტორიის ასოციაციის საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს პედაგოგიურ საზოგადოებასთან არსებული პედაგოგ-ფიზიკოსთა ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი, მეცნიერების ისტორიის პარიზის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი — ასეთია ბატონ ვახტანგის სადღეისო „სტატუსი“.

სოლიდური ნაღვაწით მოვიდა იუბილარი თავისი ცხოვრების ამ მნიშვნელოვან ნიშანსვეტთან. ვახტანგ პარკაძეს გამოქვეყნებული აქვს მსოფლიოს გამოჩენილ ფიზიკოსთა ცხოვრებისა და მეცნიერული მემკვიდრეობის ამსახველი ხუთტომეული, ფიზიკის რუსულ-ქართული ტერმინოლოგია, მომზადებული აქვს ნაშრომი „ფიზიკის ისტორია“, სადაც ნახევარსაუკუნოვანი ნარუდუნევია თავმოყრილი და, როგორც ეტყობა, პირველად გამოჩნდება საისტორიო მასალები საქართველოს ფიზიკოსთა შესახებ. გადაჭარბებად არ ჩაგვეთვლება, თუ ვიტყვით, რომ ჩვენს ქვეყანაში ვახტანგ პარკაძემ ჩაუყარა საძირკველი ისეთ საინტერესო დარგს, როგორიც არის მეცნიერების ისტორია. იუბილარისათვის ყველაზე ძვირფასი საჩუქარი იმ სხდომაზე, ალბათ, იყო სასიგნალო ეგზემპლარი წიგნისა „მოგონებები ქართველ მეცნიერებზე“, რომელიც გამომცემლობა „მეცნიერებაში“ ისტამბება.

ბატონი ვახტანგი მუხის ჯიშისა ჩანს, მხნედ და ენერგიულად გამოიყურება, არ გამოლევია ჩანაფიქრები და მათი ხორცშესასხმელი შემოქმედებითი ძალები...

თამაზ ეგანიძე.

ბიზნეს კომუნიკაციის ცენტრი
ევროკავშირის პროექტი
TBILISI
შესაძლებლობა გეძლევათ დაამყაროთ საქმიანი კონტაქტები გერმანიის და სხვა 45 ქვეყნის კომპანიისა და ფირმასთან. წინასწარ შევსებული განცხადების საფუძველზე კომპიუტერი მოგიმზადებთ განრიგს დაახლოებით 30 საქმიანი შეხვედრისათვის, რომლებიც შედგება 1995 წლის 20-21 მარტს ქ. დორტმუნდში (გერმანია), "ევროპარტენარიატის" ღონისძიების ჩარჩოებში. თქვენი მონაწილეობის ხარჯები ნაწილობრივ აგინაზღაურდებათ საქართველოსათვის განკუთვნილი ტექნიკური დახმარების პროგრამის (TACIS) სახსრებიდან.
გარდა ამისა ბიზნეს კომუნიკაციის ცენტრი გთავაზობთ:
- საზღვარგარეთ პარტნიორების მოძებნას
- მხარდაჭერას ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებში
- ერთობლივი საწარმოებისადმი დახმარებას
- საზღვარგარეთის ინვესტიციებისა და ინვესტორების მოძიებას
- თქვენი ფირმის პრეზენტაციის მოწყობას
- მდივნის, თარჯიმნის და სხვა საოფისო მომსახურებას
- საბუღალტრო აღრიცხვის წარმოებას არსებული ნორმების მიხედვით
- სრულ სატელეკომუნიკაციო მომსახურებას მთელ მსოფლიოში (ფოსტა, ტელეფონი, ფაქსი, E-mail)
- პუბლიკაციებისათვის მასალების კომპიუტერულ მომზადებას
- სავიზიტო ბარათების, საფირმო ბლანკების, პირადობის მოწმობების და ბიზნესმენებისათვის სხვა საჭირო დოკუმენტების დამზადება
ცნობებისათვის მოგვმართეთ: "ბკც - თბილისი"
ყოსტავას ქ. 47, პირველი სართული, ტელ.: 98 83 71 98 76 19
ფაქსი: 98 76 01, E-mail: bcc@iberiapac.ge

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
აცხადებს ასპირანტურაში (წარმოებისგან მოწყვეტით) მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:
მაკროეკონომიკა — 3 ადგილი;
ფინანსები, კრედიტი, ფულის მიმოქცევა — 3 ადგილი;
სამრეწველო წარმოების ეკონომიკა — 3 ადგილი;
სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკა — 3 ადგილი.
ასპირანტურაში მიიღებიან 35 წლამდე ასაკის როგორც საქართველოს რესპუბლიკის, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება და არჩეული სპეციალობით არანაკლებ ერთი წლის მუშაობის სტაჟი, ისინი ვინც 1994 წელს დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი, მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან უმაღლესი სასწავლებლის (სამეცნიერო-საბჭოს) რეკომენდაციით.
ასპირანტურაში შემსვლელი მისაღებ გამოცდებს აბარებს სპეციალობასა და უცხო ენაში. საბუთები მიიღება ა. წ. 30 ნოემბრამდე.
დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის ასპირანტურის განყოფილებაში.
მისამართი: 380008, თბილისი, მ. ზანდუკელის (რუსთაველის ძეგლთან) 16, სართული 2, ოთახი 10.
ტელ: 93-10-28.

რეკლამები დამზადებულია ფირმა „დრონის“ კომპიუტერულ ცენტრში. ტელ: 93-15-00

ხსოვნა

ნიკოლოზ ჯაში



გარდაიცვალა თბილისის ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, გაზეთების „კომუნისტისა“ და „თბილისის“ ყოფილი რედაქტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნიკოლოზ უშანგის ძე ჯაში.

დაიბადა 1920 წლის 15 დეკემბერს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი. სწავლობდა მოსკოვის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიაში ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობით. იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე, 1958-81 წლებში — გაზეთ „თბილისის“ რედაქტორი, ხოლო 1981-1992 წლებში — გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორი. 1967 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. წლების მანძილზე კითხულობდა ლექციებს ესთეტიკაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სამხატვრო აკადემიაში. დასთან, გალინა ჯაშთან ერთად, მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში, დაჯილდოებული იყო 4 ორდენითა და რამდე[illegible]მე მედლით. მის კალამს ეკ[illegible]ვნის 21 წიგნი, მათ შორის [illegible] მონოგრაფია და 100-ზე მეტი [illegible]ტატია ლიტერატურისა და ხე[illegible]ოვნების საკითხებზე.

[illegible]ვიდა ჩვენგან მშობლიური ქვე[illegible]ნისა და ხალხის წინაშე ვალ[illegible]ობდილი ადამიანი, ჟურნა[illegible]თა და ხელოვნების მოღვაწ[illegible]თა მრავალი თაობის აღმზრდე[illegible]ი, ღვაწლმოსილი, გულისხმიე[illegible]ი, ყურადღებიანი, ოჯახის ერთგული და მეგობრების მოსიყვარულე პიროვნება.

ნათელი დაადგეს მის სპეტაკ სულს.

ედუარდ შევარდნაძე, ოთარ ფაცაცია, ვახტანგ გოგუაძე, ალექსანდრე ბერიძე, ზივი ბაქურაძე, ჰამლეტ გეგენავა, გურამ გოგიაშვილი, ოთარ იოსელიანი, თამარ ლაშქარაშვილი, ლევან მშვენიერაძე, აკაკი სიხარულიძე, ედუარდ სიხარულიძე, მელორ ტყეშელაშვილი, ნიკო შველიძე, გიორგი ციციშვილი, არჩილ ციცქიშვილი.

რევაზ იაშვილი



საქართველოს სამედიცინო საზოგადოებრიობამ მძიმე დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა ეროვნული ქირურგიული სკოლის სახელოვანი წარმომადგენელი, სწავლული მედიკოსი, მკურნალი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, თბილისის სამედიცინო აკადემიის პროქტოლოგიის კათედრის გამგე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი რევაზ იაშვილი.

1951 წელს, მოსკოვის სეჩენოვის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, რ. იაშვილი ჩაირიცხა მოსკოვის საოლქო კლინიკური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ორდინატურაში, პარალელურად ამავე ინსტიტუტის ქირურგიული კორპუსის მთავარი ექიმი იყო.

1954 წელს, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დავალებით, კოკჩეტავის ოლქში რ. იაშვილი ხსნის პირველ სამედიცინო სამსახურს და საავადმყოფოს 60 საწოლით.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ბატონი რევაზი პროფესორ დავით მამამთავრიშვილის ხელმძღვანელობით იწყებს კვლევით მუშაობას თეორიული და კლინიკური პროქტოლოგიის დარგში. მისი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები ქირურგიული მეცნიერების პრობლემური საკითხების შესწავლას მიეძღვნა. ბატონ რევაზის სახელთან დაკავშირებულია საქართველოში პროქტოლოგიის კათედრის დაარსება, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე განაგებდა.

იგი ავტორია 100-ზე მეტი სამეცნიერო გამოკვლევისა, 4 მონოგრაფიისა და 12 რაციონალიზატორული წინადადებისა. მრავალმა მათგანმა პრაქტიკული ასახვა ჰპოვა სამკურნალო ქსელში, როგორც კვლევის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის აქტუალურმა მეთოდებმა.

ნაყოფიერი და მრავალმხრივი იყო მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ბატონი რევაზი, როგორც ჭეშმარიტი ქალაქელი, ერთ-ერთი ინიციატორი იყო საზოგადოება „თბილისელის“ დაარსებისა. იყო საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.

ჩვენგან წავიდა ღირსებით სავსე პიროვნება, რომელიც ამშვენებდა და ალამაზებდა ქალაქის კოლორიტს. შთაგონებითა და ერთგულებით ემსახურა იგი სამშობლოს, თავის ხალხს, ეროვნულ მედიცინას.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრო; თბილისის სამედიცინო აკადემია; თბილისის ქირურგთა საზოგადოება; ჟურნალ „საქართველოს სამედიცინო მოამბის“ სარედაქციო კოლეგია და საბჭო; თბილისის მე-4 კლინიკური საავადმყოფო.

პეტრე სოკოლოვი

გარდაიცვალა შრომისა და ომის ვეტერანი პეტრე ვარლამის ძე სოკოლოვი. იგი დაიბადა 1917 წელს ხარაგაულის რაიონში. დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და თითქმის ნახევარი საუკუნე მუშაობდა კვების მრეწველობის სისტემაში.

სადაც კი უმუშავია, ყველგან თავისი ნათელი კვალი დატოვა. მან მნიშვნელოვანი ღვაწლი შეიტანა კვების მრეწველობის ტექნოლოგიის განვითარების საქმეში, რასაც მოწმობს მრავალი ჯილდო. მის მიერ დაარსებული ობიექტები დღესაც წარმატებით მოქმედებს საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ. უანგარო სპეციალისტის ღვაწლს ახლაც მადლიერებით იხსენიებენ მისი აღზრდილები.

ბატონ პეტრე სოკოლოვის, ჭეშმარიტი თბილისელი მოქალაქის ხსოვნას წმინდად და სათუთად შეინახავენ მისი მრავალრიცხოვანი მეგობრები და ახლობლები.

მეგობრები.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო თანაგრძნობას უცხადებს მინისტრს თამაზ კვაჭანტირაძეს ძმის

სულიკო კვაჭანტირაძის

გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 2 XII, გამოსვენება 3 XII 2 სთ., ს. ჩიქოვანის (ხილიანის) 18.

საქართველოს მწერალთა კავშირი სამძიმარს უცხადებს მწერალ ლერი ჩანტლაძეს დედის გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს კოლექტივი იუწყება ქ. თბილისის საგზაო პოლიციის სამმართველოს სარეგისტრაციო-საგამოცდო განყოფილების ძებნის ინსპექტორის

დავით ოთარის ძე ჟაგუკიანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

საქართველოს მწერალთა კავშირი იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპნენ ძმები, პოეტ ნაზი კილასონიასა და მწერალ გიორგი მაისურაძის ვაჟები

გიორგი (გიო) და ოთარ მაისურაძეები

საბურთალოს რაიონის ადგილობრივი მმართველობის გამგეობა, განათლების განყოფილება, რაიონის პედაგოგიური საზოგადოება და დარგობრივი პროფესიული კავშირები, ღრმა მწუხარებით იუწყებიან 62-ე საშუალო სკოლის დირექტორის

ანზორ წოწონავას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს კოლექტივი იუწყება, რომ თავდაცვის მინისტრის საქმეთა მმართველობის უფროსს, პოლკოვნიკ დურმიშხან გაგუას გარდაეცვალა დედა

თინა გიორგის ასული ცერცვაძე-გაგუა

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.